პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 44 (12556) | ხუთშაბათი, 21 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

## ზეიმით აღნიშნავენ

საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ სახლში დღეს გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45 წლისთავს.

წითელდროშოვან დარბაზში შეიკრიბნენ სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბისა და სამმართველოების მფრინავები, ტექნიკოსები, ინჟინრები და გენერლები, აგრეთვე მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ სახელგანთქმული საბჭოთა კოსმონავტები, საბჭოთა კავშირის გმირები ი. ა. გაგარინი, ა. გ. ნიკოლაევი, ავიაციის მარშლები ს. ი. რუდენკო, ნ. ს. სკრიპკო, ფ. ა. აგალცოვი, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსი ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი პ. ი. ბრაიკო.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის გმირმა, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალმა, ავიაციის მთავარმა მარშალმა კ. ა. ვერშინინმა, შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა სახელით საბჭოთა მფრინავებს მიესალმა საავიაციო ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. ნ. ტუპოლევი.

შეკრებილთ მიესალმნენ სკკპ ლენინის სამშენებლო ქვეყრაიკომის მდივანი კ. ვ. შაროვა, სრულიად საკავშირო ალკკ ლენინის რაიკომის მდივანი ვ. ი. კუზნეცოვი და სხვ.

ჩვენს დიდ სამშობლოში

## მიეძღვნება სკკპ 60 წლისთავს

წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას 60 წელი უსრულდება. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი წიგნების სერიას უშვებს პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა.

გამოვიდა ამ სერიის პირველი წიგნი „ახალი ტიპის პარტიის შექმნის ისტორიიდან. ბოლშევიკების მოხსენება საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს 1904 წელს". მოხსენება, არსებითად, ჩვენი პარტიის ისტორიის პირველი ნარკვევია, რომელიც შედგენილია ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. უკანასკნელად ეს დოკუმენტი 1932 წელს გამოიცა. მოხსენების ტექსტი წინამდებარე გამოცემისათვის შედარებულ და დაზუსტებულ იქნა ვ. ი. ლენინის თხზულებების, ლენინური „ისკრის" მასალებისა და სხვა პირველწყაროების მიხედვით.

დასაბეჭდად მზადდება კრებული „ლენინი და პარტია". კრებულში შესულია ნ. კ. კრუპსკაიას სტატიები და გამოსვლები, რომლებიც აშუქებენ ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას პარტიის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

იუბილესათვის განზრახულია გამოიცეს აგრეთვე კრებულები: „ვ. ი. ლენინი სკკპ გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ", „მოგონებები ვ. ი. ლენინზე", „პარტიის სათავეებთან" (მხატვრული ნარკვევები იმათ შესახებ, ვინც ლენინთან ერთად ქმნიდა ჩვენს პარტიას). გამოვა აგრეთვე წიგნები მ. ს. ვოლინისა — „ლენინური ისკრა", ა. ფ. იუდენკოვისა — „სკკპ 60 წლისთავისათვის" (მასალები მოხსენებებისათვის). გათვალისწინებულია დაიბეჭდოს ცნობარი „სკკპ 60 წლის მანძილზე" და სხვა გამოცემები. (საკდესი).

## მიწა და აგრონომი

ყუბანში აინთო თუ არა ახალი შუქურა, მისი სხივები მაშინვე მისწვდა ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხეს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების კოცონი აინთო აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ყუბანელთა მაგალითით აღფრთოვანებულმა ზუგდიდელმა და ყვარლელმა მშრომელებმა რესპუბლიკის სოფლის ყველა მშრომელს, სპეციალისტს მიმართეს მოწოდებით იბრძოლონ შვიდწლედის მეხუთე წლის მიზანდასახულობათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დიდი ზღუდეები, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა იერიშით უნდა აიღონ მიმდინარე წელს, ეს არის ბრძოლა 200 ათასი ტონა მარცვლეულისათვის, 163 ათასი ტონა ჩაის ფოთლისათვის, 190 ათასი ტონა ყურძნისათვის, 115 ათასი ტონა ხილისათვის, 60 ათასი ტონა ხორცისათვის, 164 ათასი ტონა რძისათვის და სხვ.

ამ დიად მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის მებრძოლთა ერთ-ერთი წინამძღოლები, სიუხვის კანონმდებლები სოფლად აგრონომები არიან.

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის ბრიგადირზე, რესპუბლიკის დამსახურებულ აგრონომ მიხეილ არჩევნიშვილზე ხშირად ამბობენ თანასოფლელები — ჩვენი კოლმეურნეობის მინდვრები და ბაღ-ვენახები თავისი ხუთი თითივით იცისო. და მართლაც ასეა. იგი უხვი მოსავლის ოსტატია, რისთვისაც სოციალისტური შრომის გმირობა მიენიჭა. აგრონომი, რომელსაც ხელთ არა აქვს დაზუსტებული კარტოგრამა, ცალხელა კაცს ემსგავსება, რომელსაც სურვილი აქვს კარგად გააკეთოს ესა თუ ის საქმე, მაგრამ ძალა არ შესწევს.

შარშან გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის სპეციალისტთა მაგალითით ჩვენს რესპუბლიკაში სამასზე მეტი აგრონომი და ზოოტექნიკოსი წავიდა სამუშაოდ ბრიგადებში, ფერმებში. მათ მინდორსა და ფერმებში მიიტანეს სიახლის გრძნობა და წარმატებებსაც მიაღწიეს. აგრონომებმა ზედმიწევნით შეისწავლეს თავიანთი სამოქმედო უბნის მიწის ღალიანობა, შეადგინეს კარტოგრამები და ამის მიხედვით დაიწყეს მუშაობა.

გალის რაიონის ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აგრონომი ვახტანგ სერგია. მინდვრის, მიწის ნამდვილი კანონმდებელია სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ვაქირის ჯიშთა გამოცდის პუნქტის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი გიორგი აბრამიშვილი.

სამწუხაროდ, ასეთი გულისხმიერი და მომზადებული აგრონომები რესპუბლიკაში არცთუ ისე ბევრი გვყავს.

აი მივდივართ სოფლად. გავივლით მინდვრად და ნათესების თავში ან ბოლოში დახვავებულია ესა თუ ის მინერალური სასუქი, რომელიც მზე-წვიმაზე იმდენ ხანს ყრილა, რომ მთლად უვარგისია. იკითხავთ, რატომ, იქნებ დაეზარათ ნათესებში მისი შეტანა (ზოგჯერ ასეც ხდება)? მაგრამ მეტ წილ შემთხვევებში ან სასუქის გასაშლელი მექანიზმები არა აქვთ, ან არ იციან, რომელ ნაკვეთზე რა სახის და რამდენი მინერალური სასუქია საჭირო. კოლმეურნემ ეს არ იცის. აგრონომი კი რისკს ვერ ეწევა, ვინაიდან შესწავლილი არა აქვს მიწის შემადგენლობა, სასუქების დოზები. ერთი სიტყვით, ხელთ არა აქვს დაზუსტებული კარტოგრამა.

მერე და ვინ უნდა შეუდგინოს კარტოგრამა? ვინ და საწარმოო სამმართველოს აგროქიმიკოსთა ჯგუფმა, რომელიც ახლა ყველგან უნდა მოქმედებდეს. აგროქიმიკოსთა ჯგუფების მუშაობას ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმოო სამმართველო და მათი პარტიული კომიტეტები რატომღაც გულგრილად ეკიდებიან. თუ გვინდა, რომ კარგად ვიცოდეთ მიწის ყადრი, მიწის მოთხოვნილება და მკურნალობა, საჭიროა სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ აგროქიმიკოსთა ჯგუფების მუშაობა.

აგროქიმიკოსებმა შესანიშნავი საქმე გააკეთეს გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. მათ კარგად შეისწავლეს სამგორის მიწის თავისებურებანი. ზუსტმა აგროქიმიურმა ანალიზებმა ცხადი გახადა, თუ რომელ ნაკვეთს როგორი მკურნალობა, რა სახის, რა დოზის წამალი — მინერალური სასუქი ესაჭიროებოდა. დაზუსტებული დიაგნოზის შემდეგ გარკვეული რეცეპტით მიწის „მკურნალობამ" კარგი შედეგი გამოიღო. აქ შარშან ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს. ამ ჯგუფს კარგად ხელმძღვანელობს აგროქიმიკოსი ნ. დევიძე.

თითქმის ყველა კოლმეურნეობაში და მით უმეტეს საბჭოთა მეურნეობაში გვყავს მაღალკვალიფიციური აგრონომები. მაგრამ აბა ერთი ვკითხოთ მათ, დაინტერესდნენ თუ არა იმ მიწის ქიმიური შემადგენლობით, მისი მკურნალობით, რომელზეც წლობით უხდებათ მუშაობა? ერთი კი ცხადია, რომ ბევრ მათგანს არა აქვს სათანადო აგროქიმიური განათლება. ხომ არ იქნება საჭირო ჩვენი სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში შევიტანოთ სათანადო ცვლილება იმ სახით, რომ ყველა აგრონომს შეეძლოს ზუსტად განსაზღვროს მიწის აგროქიმიური შემადგენლობა და დასვას დიაგნოზი.

აგრონომი ხომ მინდვრისა თუ პლანტაციების ნამდვილი კანონმდებელია. აბა როგორ უნდა დაადგინოს აგრონომმა კანონი, თუ არ იცნობს იმ მიწის შემადგენლობას, რომლის კანონმდებელიც არის. ყვარლის რაიონის სოფ ფონის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობაში აგრონომად მუშაობდა გ. კაპანაძე, რომელმაც ჩაშალა მუშაობა, ყურადღებას არ აქცევდა მინდვრად აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებას. მას მიწა აგრონომის თვალით როდი უყვარს. ის მიწა, რომელზეც იგი მუშაობდა, ცუდი როდია, მაგრამ აგრონომის გამჭრიახობა აკლდა. განა წარმოუდგენელი არ არის, რომ წლების მანძილზე ეუფლებოდე აგრონომის სპეციალობას, ხოლო მუშაობისათვის თავს არ იწუხებდე, არ იბრძოდე სიახლის დანერგვისათვის, სიუხვისათვის?

სულ მალე დადგება გაზაფხული, დაიწყება სისხლჭარბი შრომა. აგრონომებს კი ახლაც ბევრი აქვთ საზრუნავი. ყუბანელთა მაგალითით ზუგდიდელთა და ყვარლელთა მიერ წამოწყებული საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების ფერხულში აგრონომებიც ჩაებნენ. ისინი შეჯიბრების ავანგარდში უნდა იყონ. მომავლის ეს მჭვრეტავები, მინდვრის კანონმდებლები და მკურნალი ექიმები ლაბორატორიებიდან, კაბინეტებიდან მინდვრად და პლანტაციებში გავლენ. ჩვენი სურვილია ყველა აგრონომი ექიმივით გულისხმიერი იყოს მიწისადმი.



რკინიგზის ტრანსპორტზე 30 წელზე მეტი ... ალექსანდრეს-ძე ჩხაიძე. ახლა იგი სოხუმის ... ინსტრუქტორია და პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე. თავისი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე რ. ჩხაიძემ ათობით მემანქანე მოამზადა. მოწინავე მემანქანე და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური წევრი ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეებმა დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 332 საარჩევნო ოლქში. ს უ რ ა თ ზ ე: რ. ჩხაიძე (მარჯვნივ) ესაუბრება მემანქანეებს შ. გოგუაძეს და გ. ხაჩიძეს.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ნ. ხრუშჩოვი შეხვდა ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის წევრებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი 20 თებერვალს კრემლში შეხვდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს, რომლებიც მონაწილეობდნენ აღმასკომის მეოთხე, მოსკოვის სხდომის მუშაობაში.

შეხვედრაზე იყვნენ — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ტოდოროვი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ლაიშნერი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. აპრო, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. მოლომჯამცი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. იაროშევიჩი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ბირლედიანუ, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ო. შიმუნეკი.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაზე იყვნენ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო და სხვები.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის წევრთა შორის გაიმართა ნაყოფიერი, მეგობრული საუბარი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სოციალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე. (საკდესი).

### მეგობრული მილოცვა

საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის" პრეზიდენტის, გენერალ ერნესტ პეტის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით ნ. ს. ხრუშჩოვმა გაუგზავნა მას მისასალმებელი დეპეშა.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია დეპეშაში, დიდად აფასებენ თქვენს მუშაობას საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის" პრეზიდენტის პოსტზე, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრობის განვითარება და მშვიდობის საქმის განმტკიცება.

გენერალ ე. პეტის მისალოცი დეპეშა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ. (საკდესი).

## ახალგაზრდა მწერალთა სრულიად საკავშირო თათბირის შესახებ

მოსკოვი, 18 თებერვალი. (საკდესი). ახალგაზრდა მწერალთა მეოთხე სრულიად საკავშირო თათბირი გაიმართება 17-20 აპრილს.

როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს, თათბირის წინათ გამოცხადებული ვადის შეცვლა იმით აიხსნება, რომ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს განაგრძონ მუშაობა თათბირის მოსამზადებლად.

თათბირის მთავარი ამოცანა იქნება ყოველმხრივ განიხილოს ახალგაზრდა მწერალთა იდეური და მხატვრული ოსტატობის სრულყოფის საკითხები.

თათბირს სასწავლო-პედაგოგიური ხასიათი ექნება. მისი მონაწილენი — ახალგაზრდა დამწყები ლიტერატორები, ვისმა პირველმა ნაწარმოებებმა ან ხელნაწერებმა მიიპყრეს საზოგადოებრიობის ყურადღება, გამოცდილ პროზაიკოსებსა და პოეტებთან ერთად განიხილავენ მათ სემინარებზე (სექციებში).

## ტრეტიაკოვის გალერეის ექსპონატები თბილისში

სამხატვრო გამოფენებისა და პანორამების დირექციამ, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სახელმწიფო ტრეტიაკოვის გალერეამ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მოაწყეს ჩვენი ქვეყნის რუსული სახვითი ხელოვნების უძველესი მუზეუმის — სახელმწიფო ტრეტიაკოვის გალერეის ფონდის ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის ნაწარმოებთა გამოფენა.

20 თებერვალს გამოფენა ნახეს პირველმა დამთვალიერებლებმა.

სახელმწიფო ტრეტიაკოვის გალერეის პირველი მოძრავი გამოფენა წარმოგვიდგენს რუსულ ფერწერაში, ქანდაკებაში, გრაფიკაში რეალიზმის განვითარების ძირითად ეტაპებს. გამოფენაზე ექსპონირებულია XVIII, XIX და XX საუკუნეების სახელგანთქმულ რუს ფერმწერალთა, მოქანდაკეთა, მათ შორის საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენელთა 164 ნამუშევარი.

გამოფენა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა, პროფესორმა შ. ამირანაშვილმა.

სახელმწიფო ტრეტიაკოვის გალერეის ფონდის ნაწარმოებთა გამოფენა თვენახევარს იმუშავებს. (საქდესი).

# ხალხის კანდიდატები

წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფშკვითის კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ოფშკვითის № 243 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ერმილე მინას-ძე ჯაფარიძე.

ცხაკაიას რაიონის ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლესიჭინის № 296 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ოთარ ილიას ძე ლოლაშვილი.

ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ენგელსის № 370 საარჩევნო ოლქში დაასახელა ჟურნალ „მნათობის" რედაქტორი, მწერალი გრიგოლ გრიგოლის-ძე აბაშიძე.

ინგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ გადაწყვიტა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიროვის № 312 საარჩევნო ოლქში დაასახელოს მოწინავე მუშა გულნარა თევდორეს ასული იზორია.

ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინის № 311 საარჩევნო ოლქში დაასახელა ზუგდიდის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი ოთარ ამბაკოს-ძე ფაცაცია.

ინგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ოქტომბრის № 310 საარჩევნო ოლქში დაასახელეს მშენებლობის მოწინავე მუშა ზოსიმე არჩილის-ძე ტვილდიანი.

თბილისის საელმავლო დეპოში რკინიგზელებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კომკავშირის № 10 საარჩევნო ოლქში დაასახელონ დეპოს მემანქანე შოთა გიორგის-ძე აბასაშვილი.

თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის № 6 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი შოთა ანდრიას-ძე დოლიძე.

სოფელ ლენტეხის არტელის წევრთა კრებამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ლენტეხის № 256 საარჩევნო ოლქში დაასახელოს საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის მდივანი ივანე თეიმურაზის-ძე ხაბულიანი.

ახალციხის რაიონის მოხის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ადიგენის № 113 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, სოფლის მეურნეობის პროფესიულ ორგანიზაციათა მუშაობის ბიუროს თავმჯდომარე შალვა ონისიმეს-ძე გრძელიშვილი.

ახალციხის რაიონის სოფელ ურაველის არტელის წევრებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინის № 109 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი ვახტანგ ალექსანდრეს-ძე პაატაშვილი.

ახალციხის რაიონულმა საავადმყოფოს კოლექტივმა თავის წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინა დეპუტატობის კანდიდატად ჯაფარიძის № 110 საარჩევნო ოლქში დაასახელოს პავლე პავლეს-ძე კალიოუნი.

მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის კოლმეურნეებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბახვის № 284 საარჩევნო ოლქში დაასახელეს მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი ვახტანგ ერიმისის-ძე ჯაყელი.

ამბროლაურის რაიონის სოფელ ხვანჭკარის კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჭრებალოს № 252 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს სახალხო მხატვარი უჩა მალაქიას-ძე ჯაფარიძე.

ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევის არტელის წევრებმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ჭელიაღელის № 253 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამბროლაურის კოლმეურნეობათა საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი მელქო ალფეზის-ძე ბიბილაშვილი.

ონის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად ონის № 254 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამბროლაურის კოლმეურნეობათა საწარმოო სამმართველოს უფროსი ბიძინა ონისიმეს-ძე მინდელი.

თბილისის კუიბიშევის № 11 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მოწინავე მუშა მირდატ ხარქისის-ძე აკოფოვი.

ხართვ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვიტეს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლოტკინის № 12 საარჩევნო ოლქში დაასახელონ საწარმოს მუშა ლამარა მიხეილის ასული ჭეირანაშვილი.

თეთრი წყაროს რაიონის ავრანლოს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ავრანლოს № 130 საარჩევნო ოლქში დაასახელოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ილია დავითის-ძე ართმელაძე.

ახალციხის რაიონის დაბა ასპინძის არტელის წევრთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასპინძის № 115 საარჩევნო ოლქში დაასახელა ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლევან მიხეილის-ძე ისაკაძე.

სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქის № 175 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დიმიტრი ლევანის-ძე გელაშვილი.

ანაგის № 177 საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის არტელის წევრებისაგან დასახელებულია ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გივი იოსების-ძე ჯანგულაშვილი.

მესტიის რაიონის სოფელ ხაიშის კოლმეურნეებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხაიშის № 321 საარჩევნო ოლქში დაასახელეს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ ვარდენის-ძე ნანეიშვილი.

მესტიის რაიონის სოფელ კალის არტელის წევრებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მესტიის № 320 საარჩევნო ოლქში დაასახელეს კოლმეურნეობის ბრიგადირი ივლიტა ვარლამის ასული ხაძიანი.

წნორის № 178 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სიღნაღის რაიონის რუსთაველის სახელობის არტელის კოლმეურნეებისაგან დასახელებულია სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი ამირან ივანეს-ძე გონაშვილი.

სიღნაღის რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრი გიორგი სამსონის-ძე ქობულია.

სოფელ ზემო-ქედის კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს სიღნაღის რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ სტეფანეს-ძე ყოჩიაშვილი.

საგარეჯოს № 174 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საგარეჯოს რაიონის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა დაასახელა გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ოთარ გიორგის-ძე საბაშვილი.

თბილისის პიონერთა № 5 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს თბილისის ქარხანა „ელექტროგამმზომების" ინჟინერი თამარ ალექსანდრეს ასული რუსიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქ. თბილისის ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის ტრესტის № 131 სამშენებლო სამმართველოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა დაასახელეს ვიქტორ დავითის-ძე გოცირიძე.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქ. თბილისის რკინიგზის № 9 საარჩევნო ოლქში დაასახელეს მოწინავე მუშა ალექსანდრე გიორგის-ძე ზარდიაშვილი.

ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რუსთაველის № 240 საარჩევნო ოლქში დაასახელოს სკოლის დირექტორი ქეთევან თეოფანეს ასული ნადირაძე.

ლენინის № 236 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქუთაისის ონკოლოგიური დისპანსერის სამედიცინო პერსონალისაგან დასახელებულია „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის მმართველი ირაკლი მიხეილის-ძე მღებრიშვილი.

ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩოხატაურის № 287 საარჩევნო ოლქში დაასახელა ფაბრიკის მოწინავე მუშაკი ტატიანა გრიგოლის ასული მეგრელიშვილი.

(საქდესი).

## ნ. ს. ხრუშჩოვისა და ტ. ჟივკოვის შეხვედრა

19 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ტ. ჟივკოვს.

შეხვედრის დროს მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალურ საკითხებზე.

შეხვედრამ ჩაიარა გულწრფელი მეგობრობისა და გულითადობის სულისკვეთებით, ყველა განხილულ საკითხზე შეხედულებათა სრული ერთიანობის ვითარებაში. (საკდესი).

## წარმატებით დავამთავროთ ცხვრის გამოზამთრება ყიზლარის საძოვრებზე

კოჩუბეი, (დაღესტნის ასსრ), 20 თებერვალი. (საკდესი). მრავალ კილომეტრზე გადაჭიმულა ჩრდილოეთ კავკასიის კასპიისპირეთის ველებზე ყიზლარის საძოვრები. აქ აძოვებენ ზამთრობით ცხვრის ფარებს კოლმეურნეობების მწყემსები — მამაცი, ნაწრთობი ადამიანები. ახლა საძოვრებზე საქართველოს კოლმეურნეობათა ნახევარი მილიონი ცხვარია.

უკანასკნელ წლებში ზამთრის საძოვრებზე დიდი ღონისძიებანი განხორციელდა, რომელთა მიზანია მწყემსების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებისა და ცხვრის მოვლა-შენახვის გაუმჯობესება. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდაში. მაგრამ როგორც გვიჩვენა შემოწმებამ, რომელიც ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების ჯგუფმა მოაწყო, ყიზლარის საძოვრებზე არის არსებითი ნაკლოვანებანიც.

შემოწმების შედეგები განიხილა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მეცხვარეობის ფერმების ბრიგადირების, საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების მდივნების, საწარმოო სამმართველოთა უფროსების, რაიაღმასკომების თავმჯდომარეების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თათბირმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა სოფელ კოჩუბეიში.

მწყემსების გამოსვლების ძირითადი აზრი ასეთი იყო: ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მეცხოველეობის მეტი პროდუქტი მისცენ სამშობლოს, წარმატებით შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

— დიდი ხანია, — თქვა დუშეთის საწარმოო სამმართველოს სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. პეტრიაშვილმა, — რაც ქართველი მეცხვარეები ჩრდილოეთ კავკასიის საძოვრებზე მიერეკებიან პირუტყვს, მაგრამ ასეთი მზრუნველობა მწყემსებზე, იმაზე, რომ ნაყოფიერად მოეწყოს გამოზამთრება, არასოდეს არ გვიგრძვნია, ისე, როგორც უკანასკნელ წლებში. ჩვენს კოლმეურნეობას 14 ათასი ცხვარი ჰყავს საძოვრებზე. დოლი ორგანიზებულად დაიწყო.

— შარშან, — თქვა ყაზბეგის რაიონის სოფელ ყაზბეგის მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირმა ამხ. ხუციშვილმა, — ჩვენ ყოველ 100 ნერზე 95 ბატკანი მივიღეთ. ნაპარსმა საშუალოდ ცხვარზე 3 კილოგრამი შეადგინა. პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის გეგმა წარმატებით შესრულდა. მწყემსებმა 600-700 შრომადღე გამოიმუშავეს და 1.100-1.200 მანეთი მიიღეს. კოლმეურნეობამ იკისრა ვალდებულება, რომ წელს ყოველ ცხვარზე საშუალოდ 3,5 კილოგრამი მატყლი მიიღოს და ყოველ 100 ნერზე 97-100 ბატკანი გამოზარდოს. მწყემსები ცდილობენ შეასრულონ თავიანთი დიდი ვალდებულებანი. მაგრამ არის ნაკლოვანებანიც. არ ყოფნით არტეზიული ჭები. ფერმებში იშვიათად უჩვენებენ კინოსურათებს, არ ჩამოდიან ლექტორები, მომხსენებლები.

ნაკლოვანებებზე ილაპარაკეს აგრეთვე თიანეთის რაიონის სოფელ არტნის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირმა ამხ. ღეჩუაშვილმა, ლენინგორის საწარმოო სამმართველოს სოფელ დადიანეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ჩიტიშვილმა და სხვებმა.

მეცხვარეობის განვითარების არსებით საკითხებს მიაპყრო თათბირის მონაწილეთა ყურადღება თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. ზ. გელდიაშვილმა.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ნ. ჯავახიძე, დუშეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ა. შადური, საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ფირანიშვილი, ლენინგორის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ჯუსოევი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს კოლეგიის წევრი ამხ. ვ. კობახიძე, თიანეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნ. გელიაშვილი, ზამთრის საძოვრების სამმართველოს უფროსი ამხ. მ. გულაშვილი, მეცხოველეობის სამანქანო სადგურის დირექტორი ამხ. ი. ქავთარაძე და სხვები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. შ. ჭანუყვაძემ.

აღნიშნა რა, თუ როგორ მიმდინარეობს ცხვრის გამოზამთრება, მან მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები დაუსახა კოლმეურნეობათა გამგეობებს, საწარმოო სამმართველოებს, სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს. ამ ამოცანების გადაჭრა ხელს შეუწყობს, რომ სწრაფად აღმოიფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებანი, ახალ წარმატებებს მიაღწიონ სამომთაბარო მეცხვარეობის განვითარებაში. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა მწყემსების საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების არსებითი გაუმჯობესება. აღნიშნა, რომ სრულიად სამართლიანი იყო გაზეთ „სელსკაია ჟიზნში" გამოქვეყნებული კრიტიკა, რომელიც სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობას ეხებოდა. ამ კოლმეურნეობაში საკვებს უვარგის შენობებში ინახავდნენ და ფუჭდებოდა.

ამხ. ჭანუყვაძემ თათბირის მონაწილეებს მოუწოდა მომჭირნეთ ხარჯონ საკვები, ორგანიზებულად მოაწყონ დოლი და მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი.

უსტლაბინსკელ მიწათმოქმედთა პატრიოტული მოწოდების პასუხად კრების მონაწილეებმა ახალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს შვიდწლედის მეხუთე წლისათვის.

ყაზბეგის რაიონში აიყვანონ ცხვრის სულადობა 110 ათასამდე, რაც 22 ათასით აღემატება შარშანდელს. ყოველ 100 ნერზე გამოზარდონ 98 ბატკანი. ცხვარზე მიიღონ საშუალოდ 3,5 კილოგრამი მატყლი. მიჰყიდონ სახელმწიფოს 8.600 ცენტნერი ხორცი და 4.600 ცენტნერი მატყლი. რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს ააშენონ ზამთრის საძოვრებზე 15 ახალი შენობა მწყემსებისათვის, 20 ახალი ფარეხი 40 ათასი ცხვრისათვის. სოფელ სიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ბაზალი, მეცხვარეობის ბრიგადირი ამხ. ხეთაგური) იკისრა ვალდებულება ყოველ 100 ნერზე 100 ბატკანი გამოზარდოს, ცხვარზე მიიღოს საშუალოდ 4 კილოგრამი მატყლი, სახელმწიფოს მიჰყიდოს 800 ცენტნერი ხორცი და 600 ცენტნერი მატყლი.

დიდი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე დუშეთისა და ლენინგორის საწარმოო სამმართველოებისა და თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმა.

## შეწყდეს ბოროტმოქმედება!

ერაყში რეაქცია მძვინვარებს. ხელისუფლება მიმართავს სისხლიან ტერორსა და მკაცრ რეპრესიებს ფართო დემოკრატიული და პატრიოტული ძალების წინააღმდეგ. იღვრება ათასობით ადამიანთა სისხლი, ტანკების მუხლუხებქვეშ იღუპებიან უმწეო ადამიანები — ქალები, ბავშვები, მოხუცები, აპატიმრებენ და საკონცენტრაციო ბანაკებში სატანჯველად უყრიან თავს კომუნისტებს — ერაყელი ხალხის ერთგულ შვილებს, პატრიოტებს.

მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ხმა აღიმაღლა ამ გაუგონარი ძალმომრეობის წინააღმდეგ. მტკიცე პროტესტს აცხადებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ადამიანები, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანის, პიროვნების უფლებები და დემოკრატიული თავისუფლება.

საბჭოთა პროფკავშირების დიდ შეშფოთებასა და აღშფოთებას იწვევს ერაყის ახლანდელ ხელისუფალთა მხეცობა, — ნათქვამია საკავშირო პროფსაბჭოს განცხადებაში. საბჭოთა ხალხი მხარში უდგას ამ განსაცდელის ჟამს ერაყის მუშათა კლასს, რომელმაც ყველაზე აქტიური და უშუალო მონაწილეობა მიიღო 14 ივლისის რევოლუციაში. პროფკავშირებში გაერთიანებული საბჭოთა მშრომელების სახელით საკავშირო პროფსაბჭო მტკიცე პროტესტს გამოთქვამს ერაყელ ხელისუფალთა მხეცობისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის მილიონობით ქალის სახელით უმწეო მოსახლეობის, ქალებისა და ბავშვების მასობრივი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ მრისხანე პროტესტს გამოთქვამს აგრეთვე საბჭოთა ქალების კომიტეტი.

მილიონობით საბჭოთა მშვიდობის მომხრის სახელით გამოდის მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი, რომელიც გამოთქვამს რწმენას, რომ მშვიდობისმოყვარე ერაყელი ხალხი დაიცავს უზიშროებასა და პატივისცემას იმათ მიმართ, ვინც გამოხატავს მის მისწრაფებას მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობისადმი,

## პარტიული ცხოვრება

# ჩვენი დასაყრდენია აქტივი

რაიონის მშრომლები, — განაცხადა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ო. აბესაძემ, — წელს დაამზადებენ 7.600 ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს (გეგმით გათვალისწინებული 6.300 ტონის ნაცვლად), სიმინდის წარმოებას აიყვანენ 26.000 ტონამდე (რაც ორნახევარჯერ მეტია შარშანდელთან შედარებით). გეგმის გადამეტებით ვაწარმოებთ 1.200 ტონა ბოსტნეულს, 700 ტონა ხილს, 200 ტონა ყურძენს და სხვ.

როგორც ვხედავთ, ამოცანები დიდია და ჩვენც პარტიული კონფერენციის მეორე დღესვე ჩავებით პრაქტიკულ მუშაობაში. მოვიწვიოთ რაც შეიძლება ნაკლები თათბირები, სხდომები, სამაგიეროდ მეტი ურთიერთობა გვქონდეს ადამიანებთან, კონკრეტულად დავეხმაროთ მათ, მტკიცედ დავეყრდნოთ ფართო აქტივს, ყურადღებით მოვისმინოთ სპეციალისტთა და პრაქტიკოსთა რჩევას, მხარი დავუჭიროთ მათს რეკომენდაციებს, რომლებიც პრაქტიკით არის შემოწმებული, — ასეთი ამოცანები დავისახეთ.

პარტიულ-კომიტეტში 16 პასუხისმგებელი მუშაკია, აქედან 6 ინსპექტორ-პა[illegible] სოფლის მეურნეობა. თვითეულ ინსპექტორ-პარტორგანიზატორზე მიმაგრებულია მეურნეობები მათი სპეციალური განათლების გათვალისწინებით. ეს საშუალებას აძლევს მათ ღრმად ჩასწვდნენ წარმოებას, შეისწავლონ და აამოქმედონ რეზერვები, დაეხმარონ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მეც[illegible]ნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვაში.

პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორები, ინსტრუქტორები, სამმართველოს სპეციალისტები ადგილზე ნაკლოვანებათა რეგისტრატორები კი არ არიან, არამედ იქვე ეხმარებიან კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს ხარვეზების გამოსწორებაში. პარტიული მუშაკები და სპეციალისტები სწავლობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობებს, აქტივთან ერთად ამზადებენ კონკრეტულ წინადადებებს შვიდწლედის მეხუთე წელს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ყოველდღიურად სულ უფრო მზარდი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, რომლის დროშა უსტ-ლაბინს[illegible] ლია ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, ბრიგადა, უბანი, რგოლი. სოციალისტური შეჯიბრების დევიზად დავისახეთ: კურსი ავიღოთ არა ცალკეულ შუქურებზე, არამედ მოწინავეებად გადავაქციოთ ყველა მეურნეობა, მთელი ბრიგადები, რგოლები, ფერმები. ამ მიზანს ემსახურება მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რომელშიც 500 აგიტატორია ჩაბმული.

სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში მოპოვებულია პირველი წარმატებანი. საგაზაფხულოდ უკვე დავამუშავეთ სათესი ფართობის ნახევარი — 7.300 ჰექტარი. ავითვისეთ 600 ჰექტარი ახალი მიწა. ჯერ კიდევ 1 თებერვლისათვის დავამთავრეთ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი. ჭარბად მოვიმარაგეთ და სათეს კონდიციამდე ავიყვანეთ ყველა კულტურის თესლი.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მრავალწლიანი ნარგავების დამუშავებას, რაც ჯერ კიდევ შარშან მოსავლის აღების დამთავრებისთანავე დავიწყეთ და ახლა სულ უფრო ჩაღდება. უკანასკნელი კვირა ხეხილის ბაღების [illegible] უროება და ორიც საკოლმეურნეოთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა სარგებლობაშია 27 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ამ გამსხვილების შედეგად შემცირდა 132 საშტატო ერთეული, რამაც მოგვცა 34.380 შრომადღის ეკონომია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკები ჩვენი ოქროს ფონდია. ამიტომ ისინი ყოველდღიური მზრუნველობით არიან გარემოსილნი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 40 ხელმძღვანელიდან 23 უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლებით არის. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ საკოლმეურნეო წარმოების საშუალო რგოლების განმტკიცებას გამოცდილი კადრებით, აგრეთვე ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების სწავლებას. წელს გეგმით უნდა მოვამზადოთ 60 მექანიზატორი, მაგრამ ფაქტიურად 90-ს ვამზადებთ.

[illegible]

# ასე ვავლენთ რეზერვებს

[illegible] კომუნისტთა გამოსვლები პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე, დავსახეთ ღონისძიებანი ყველაზე პრაქტიკულ წინადადებათა რეალიზაციის მიზნით.

ღრმა ანალიზი გავუკეთეთ მთელი რიგი საწარმოების, კერძოდ, ჩამორჩენილთა მუშაობას. ამან საშუალება მოგვცა გამოგვემჟღავნებინა წარმოების უდიდესი რეზერვები, აგრეთვე სერიოზული ნაკლოვანებანი მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. შემუშავებული ღონისძიებანი დაგვეხმარება საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში.

წარმოების შინაგანი რეზერვების გამოყენებას ისახავდა მიზნად სამრეწველო-საწარმოო ზონის აგურისა და კრამიტის ქარხნების ტექნიკურ ხელმძღვანელთა შეკრებები, რომლებიც მოეწყო პარტიული კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე. შეკრების მონაწილენი გაეცნენ ცალკეულ საამქროთა მუშაობას, ტექნოლოგიურ პროცესებს. დასასრულ მათ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები. შეკრებათა შედეგების შეჯამებამ საშუალება მოგვცა დაგვესახა სათანადო ღონისძიებანი წარმოების „ვიწრო ადგილების“ გამოსასწორებლად.

მე ვფიქრობ, რომ როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ლაპარაკობდნენ რეზერვებზე, მხედველობაში ჰქონდათ მუშათა რაციონალიზატორული წინადადებების სწრაფად დანერგვაც. პარტიულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ყველა დიდ საწარმოში მოაწყოს გამომგონებლების, რაციონალიზატორების, ნოვატორების წინადადებათა მასობრივი დათვალიერება. ამის შემდეგ საუკეთესო რაციონალიზატორულ წინადადებებს წარადგენენ კასპში ზონალურ დათვალიერებაზე.

ზონის უმრავლესმა საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს შვიდწლედის მე[illegible] სახეთ ზომები მისი ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

პარტიული კომიტეტის ბიუროს წინა სხდომაზე მოვისმინეთ მეტეხის აგურის ქარხნის მუშაობის ანგარიში, დავსახეთ სათანადო ღონისძიებანი აქ კრამიტის გამოშვების გეგმის შესრულებაში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად.

მცხეთის ასანთის ფაბრიკის მუშაობაში ამ ბოლო დროს სერიოზულმა ნაკლოვანებებმა იჩინა თავი. სუსტია წარმოების ორგანიზაცია, დაბალია წარმოების კულტურა, ნელია ტექნიკური პროგრესის ტემპი. პარტიული კომიტეტის მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისია სწავლობს ფაბრიკის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზებს, სახავს ადგილზე მათი გამოსწორების გზებს, ამუშავებს კომიტეტის განსახილველად წარსადგენ წინადადებებს.

სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტი გულდასმით ეცნობა მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებას, ისწრაფვის გამოიყენოს იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის მრავალმხრივი ფორმები და მეთოდები, რათა გააუმჯობესოს ყველა საწარმოს ეკონომიური მაჩვენებლები.

ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა პარტიულ კომიტეტს საშუალებას აძლევს დარაზმოს ძალები მთავარი ამოცანის — წარმოების განვითარების გადასაწყვეტად. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი სამრეწველო საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით. კასპის სამრეწველო-საწარმოო ზონის კომუნისტები, რომლებსაც ესმით ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც მათ აკისრიათ, ყველაფერს გააკეთებენ, რომ წარმატებით გაართვან თავი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანებს.

[illegible]

[illegible] დამტკიცებული ერთჯერეული განრიგით 20 თებერვლისათვის მრავალი სამუშაოს დამთავრება იყო გათვალისწინებული. აირის განაწილების საამქრომ დაამთავრა გაზგოლდერიდან ამონიუმის წყლის ჩამოსხმის სამუშაოები.

№ 956 კორპუსზე „კავსანტექმონტაჟის“ სამმართველომ შეასრულა განრიგით გათვალისწინებული ყველა სახის სამუშაო. გუშინ იგი უნდა შესდგომოდა მილგაყვანილობის სანიტარულ გამოცდას, მაგრამ იმის გამო, რომ აზოტოვანი სასუქების ქარხანამ ვერ მიაწოდა ორთქლი, ეს სამუშაო შეფერხდა. ამავე კორპუსზე „პრომვენტილაციის“ სამმართველოს 19 თებერვლისათვის უნდა დაემთავრებინა სამუშაოები. სამწუხაროდ, 20 თებერვლისთვისაც ვერ შეძლო განრიგით გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრება.

„ტერმოიზოლაციის“ სამმართველომ № 956 კორპუსზე გუშინ ცოტა მუშახელი გამოიყვანა. ამან ის გამოიწვია, რომ აღნიშნულმა სამმართველომ ვერ შეძლო განრიგით დადგენილი სამუშაოს შესრულება. განრიგი ვერ შეასრულეს „ენერგოჩერმეტის“ სამმართველოს მემონტაჟეებმაც.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად ითვლება საკონდენსაციო ქოთნების დამონტაჟება. ეს სამუშაო შეფერხდა იმის გამო, რომ აზოტოვანი სასუქების ქარხანას არა აქვს აღნიშნული ქოთნები. გუშინ გადაწყდა გადაკეთებულ იქნას არსებული ქოთნები და დაიწყონ მათი მონტაჟი.

გუშინ ბევრმა მშენებელ-მემონტაჟემ გამოიჩინა თავი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან მემონტაჟეები მ. ყიგინი, ი. დუდინინი, ნ. შახოვი, მშენებლები ნ. ოსტატიშვილი, გ. სუზდალცევი, ა. სალდიშვილი, მ. ბილიხოძე, მებულდოზერე ბ. სანდოპულო და სხვები. თვითეულმა მათგანმა 120-130 პროცენტით შეასრულა დღიური დავალება.

გ. დემეტრაშვილი — „ქიმმრეწვმშენის“ სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ა. ბერიძე — ნორმატიულ-საკვლევი სადგურის უფროსი, მ. ზეველევი — ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის მოწყობილობის ბაზის უფროსი, ზ. მერკვილაძე — გაზეთ „კომუნისტის“ საკ. კორ.



სურათზე: კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობის № 958 კორპუსზე მომუშავე შემდუღებელი, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი გ. კულიუკინი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 140 პროცენტით ასრულებს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

## დაუნდობელი ბრძოლა — წუნს!

# ვის რად უნდა ასეთი ავეჯი?

დღეს, როცა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები დღითიდღე უმჯობესდება, სულ უფრო და უფრო მატულობს მოთხოვნილება გამძლე, ლამაზ და მოხერხებულ ნივთებზე. მომხმარებელი გვთხოვს წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია მის გაზრდილ გემოვნებას შეესაბამებოდეს. ეს საკითხი მთელი სიმძაფრით დგას ჩვენი რესპუბლიკის საავეჯო წარმოებაშიც, რომელიც ჯერაც ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებას.

ამას წინათ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის სამმართველომ შეამოწმა რესპუბლიკის საავეჯო საწარმოების მიერ გამოშვებული ავეჯის ხარისხი როგორც თვით წარმოებაში, ისე სავაჭრო ქსელშიაც. შემოწმებამ ცხადყო, რომ ბევრ საავეჯო საწარმოში თითქმის სრულიად უგულებელყოფილია პროდუქციის ხარისხი, ხოლო მის მხატვრულ გაფორმებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ბევრი საწარმო ისეთ ავეჯსაც კი ამზადებს, რომელიც არ შეესაბამება რესპუბლიკურ ტექნიკურ პირობებს და სავაჭრო ქსელში მისი დაშვება ყოვლად გაუმართლებელია.

საავეჯო საწარმოების უპასუხისმგებლო მუშაობას მოწმობს ის ფაქტი, რომ 27 საწარმოს მიერ გამოშვებული 2.768 ერთეული სხვადასხვა სახის ავეჯიდან დაწუნებული და დაბალხარისხში გადაყვანილია 813 ერთეული, ანუ გამოშვებული პროდუქციის თითქმის ოცდაათი პროცენტი. განსაკუთრებული საგანგაშო მდგომარეობაა კოდორის, ცხინვალის, მარნეულის, ზესტაფონის და თეთრი წყაროს კომბინატებში, რომლებშიც წარმოებული ავეჯი მთლიანად წუნდებული აღმოჩნდა.

ავეჯის წუნის მიზეზია ძირითადად სველი, ჭიანაჭამი და ქერქიანი მასალა. ზოგჯერ კარადის შიგნითა მხარე დაუფანერებელია, ყუთები გაურანდავი, ზედაპირი ცუდად გაკრიალებული და წებოთი დასვრილი. სარკეები მრუდეა და თაროები დეფორმირებული. სამწუხაროდ, არც თბილისში და არც სხვაგან სადმე რესპუბლიკაში არ არის საავეჯო ფურნიტურის დამამზადებელი სპეციალური ქარხანა, რომელიც ადგილობრივ საწარმოებს ხარისხოვანი ფურნიტურით უზრუნველყოფდა. ეს გარემოება კი მნიშვნელოვნად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე. ხშირად ირღვევა აგრეთვე ავეჯის შეფუთვისა და ტრანსპორტირების წესები. ზოგ საწარმოს, მაგალითად, ზესტაფონისა და თეთრი წყაროს საავეჯო კომბინატებს, არა აქვს საკუთარი სასაშრობო მეურნეობა. არარეგულარულად მუშაობს სასაშრობო მეურნეობები კასპსა და ბოლნისში, რა[illegible] თქმა უნდა, საავეჯო წარმოებაში გაუმშრალი მასალის გამოყენების შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ უხარისხო და წუნდებული პროდუქცია მივიღოთ.

წარმოებასა და მომხმარებელს შორის უშუალოდ დგანან რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები. ისინი ხშირ შემთხვევაში გაუსინჯავად იღებენ და ყიდიან ავეჯს ძვირ ფასებში, მაშინ როცა იგი არათუ დაბალი ხარისხისაა, არამედ ზოგჯერ არამარკირებულიც. კითხვაზე, თუ რატომ იქცევიან ასე, (ვეკავშირის სისტემის მარნეულის საავეჯო მაღაზიასა და სამეურნეო საქონლის № 2 მაღაზიაში გვიპასუხეს, გეგმა გვაქვს და, რასაც გვაძლევენ, იმას ვყიდითო.

უხარისხო ავეჯის გაყიდვით თავი „ისახელეს“ სოხუმვაჭრობის № 23, ტყვარჩელქვანახშირის მუშათა მომარაგების განყოფილების № 45, საქვაჭრობის სამტრედიის განყოფილების № 1 და № 31 მაღაზიებმა. ამ მაღაზიებში შემოწმებული 283 ერთეული ავეჯიდან 186 უკანვე დაუბრუნდა წარმოებას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით სავაჭრო ორგანიზაციებს აეკრძალათ ზოგიერთი არტიკულის ავეჯის მიღება მისი ხარისხის გაუმჯობესებამდე რესპუბლიკის ცხრა საწარმოსაგან. ეს საწარმოებია: თეთრი წყაროს, მარნეულის, ბოლნისის, კასპის, ზესტაფონისა და სამტრედიის საავეჯო კომბინატები, აგრეთვე ქუთაისის საავეჯო ფაბრიკა, კოდორის ხე-ტყის ქარხანა და აჭარკოოპკავშირის ბათუმის საავეჯო საწარმო. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია იმდენად უვარგისია, რომ არ შეიძლება მისი სავაჭრო ქსელში დაშვება.

არის შემთხვევები, როცა სავაჭრო ორგანიზაციები წარმოებასთან შეთანხმებით ადგენენ აქტს და რომელიმე დასახელების ავეჯი გადაჰყავთ პირველიდან მეორე ხარისხში, მაგრამ არის პირუკუ შემთხვევებიც, როცა მეორე ხარისხის ავეჯი პირველი ხარისხისად საღდება. მსგავსი სიყალბის თავიდან აცილებისა და პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის საჭიროა ჩვენმა საწარმოებმა გამოუშვან მხოლოდ პირველი ხარისხის ავეჯი ერთი ფასით, როგორც ეს მიღებულია ბალტიისპირეთის მოძმე რესპუბლიკებში.

მისასალმებელი და სასიხარულოა, რომ თბილისში არსებული საავეჯო საწარმოების ბაზაზე შეიქმნა ფირმა „განთიადი“. ფირმას სათავეში უდგას თბილისის საავეჯო კომბინატი. კარგი იქნებოდა ასეთი ფირმების შექმნა ქუთაისში, სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში. ეს უეჭველად გამოიწვევდა ავეჯის ხარისხის გაუმჯობესებას, უფრო ორგანიზებულად გაეწეოდა მომსახურება მომხმარებელს.

**შ. ხახანაშვილი,**
საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხის და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის სახელმწიფო ინსპექტორი.

## მოდით, ვისაუბროთ გულახდილად

# საინტერესო საღამო-დისპუტი

„მოდით, ვისაუბროთ გულახდილად, რას იტყვი შენ, ამხანაგო?“ ამ დღეებში, ასეთი აფიშა გამოჩნდა ქუთაისის ქუჩებში. და მან მართლაც ასობით ახალგაზრდა მიიზიდა თემატურ საღამო-დისპუტზე, რომელიც კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ და კულტურის საქალაქო სახლმა მოაწყეს.

ამ საინტერესო საღამოს ორგანიზატორებმა და მისმა მონაწილეებმა გულახდილი საუბარი გამართეს კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსზე, ახალგაზრდობის ქცევის ნორმებზე. ამავე დროს კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ყველა ის, ვინც არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

საღამო-დისპუტი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ქალაქკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ჯაველიძემ.

ლენინური კომკავშირის გმირული ტრადიციების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ბ. ფრუიძე. ახალგაზრდა ადამიანის ქცევის ნორმებს მიეძღვნა ლექტორ ნ. დევაძის გამოსვლა. ლოთობის, უსაქმურობისა და ამით გამოწვეული მავნე შედეგების შესახებ ილაპარაკა კომკავშირის ქალაქკომის მდივანმა ა. ბურჯანაძემ.

„იცით თუ არა თქვენ შრომისა და დასვენების ფასი?“ — საწარმოს ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითებით ილაპარაკა ამ საკითხზე № 4 სამკერვალო ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ქ. ხვედელიძემ.

დისპუტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მასწავლებლებმა, ახალგაზრდა მუშებმა, სტუდენტებმა.

ასეთი საღამოების მოწყობა ყოველმხრივი მხარდაჭერისა და გავრცელების ღირსია. („კომუნისტის“ საკ. კორ.).

# ნაყოფიერი ხელი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რიტმულად, ნაყოფიერად დაიწყო შვიდწლედის მეხუთე წელი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა. აქაურმა მეტალურგებმა წარმატებით შეასრულეს იანვრის დავალება, სამშობლოს მისცეს ასეულ ტონობით ზეგეგმითი შენადნობი, დაზოგეს 650.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია და დიდძალი დამხმარე მასალები.

უფრო ნაყოფიერია თებერვალი. წამყვანი საამქროები არჩევნებისადმი მიძღვნილ შრომით ვახტზე დგანან და დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ლითონის გამოდნობის გეგმებს.

სოციალისტური შეჯიბრების სათავეში არიან კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. კობახიძე, წარჩინებული მდნობლები გ. ნანიტაშვილი, ზ. ბუცხრიკიძე, კ. მდივანი, რ. სხილაძე, გ. დანელია ხელმძღვანელობენ. ახალ ზღუდეებს უტევს პირველი საამქროს იმ ცვლის კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. მელქაძე უძღვება.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა კვლავ განაგრძეს შეჯიბრება ზაპოროჟიელ და ალავერდელ თანამოსაქმეებთან, იბრძვიან იმისათვის, რომ ახალი მიღწევებით შეხვდნენ არჩევნების დღეს, ვადამდე შეასრულონ წლიური გეგმა.

# პრემიად 7.122 კილოგრამი სიმინდი

ცხაკაია, (საძღესი). ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრებს შარშან 387 ჰექტარი სიმინდი ეთესათ და უხვი მოსავალი მოიწიეს. კარგად იმუშავეს ცალკეულმა კოლმეურნეებმა. მაგალითად ლ. ჯოჯუამ ჰექტარზე 62 ცენტნერი მარცვალი მოიწია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერისა. უხვი მოსავლის მიღებისათვის მან 7.122 კილოგრამი სიმინდის მარცვალი მიიღო პრემია-წანამატად. კარგი მოსავალი მოიწია კოლმეურნე პ. ღვინჯილიამაც. მას 6.968 კილოგრამი სიმინდის მარცვალი მიეცა პრემია-წანამატის სახით.

# საზოგადოების მკაცრი კონტროლით

# „კომუნისტის“ სიგნალები მიზანს აღწევს

დილომში სკოლის მშენებლობა ჭიანურდება. მთავართბილისმშენის მეთერთმეტე სამშენებლო კანტორის მუშაკები გვპირდებოდნენ მშენებლობის მალე დამთავრებას, მაგრამ ამაოდ — აღნიშნავდნენ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში ვ. სონღულაშვილი, გ. კობიაშვილი და გ. ნადიმაშვილი. წერილთან დაკავშირებით მთავართბილისმშენის მთავარი ინჟინერი რ. ნინიძე რედაქციას ატყობინებს:

„კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილის გამო „ძველი დაანგრიეს, ახალს არ ამთავრებენ“, რომელიც ეხებოდა დილომის სკოლის მშენებას, გაცნობებთ, რომ ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია და შენობა უახლოეს დროში გადაცემული იქნება საექსპლოატაციოდ.

* * *

კრიტიკულ წერილში „ხელი უწყლოდ დაიბანეს“ („კომუნისტი“ № 3) მასწავლებელი ბ. ჯომარჯიძე აღნიშნავდა, რომ დაბა ასპინძაში მცხოვრებნი სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიან.

ამ წერილის გამო ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ისაკაძე გვწერს:

შესწავლილ იქნა გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „ხელი უწყლოდ დაიბანეს“. შემოწმებით გამოირკვა, რომ დაბა ასპინძაში წყალსადენის შიდაქსელის მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობდა. რაისაბჭოს აღმასკომის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა. დამთავრდა შიდაქსელის ძირითადი სამუშაოები, დაიდგა ავტომატური წყლის ონკანები 8 ადგილზე და უზრუნველყოფილ იქნა მოსახლეობა წყლით. 1963 წლისათვის დარჩენილია მცირედი სამუშაოები, რომელთა შესასრულებლად მიღებულია ზომები და უახლოეს ხანში დამთავრდება.

სამშენებლო სამმართველოს მოუქნელ მუშაობაზე წერდა „კომუნისტში“ (№ 9) გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში „როდემდის ელოდონ?“ ს. ცოტნიაშვილი. იგი აღნიშნავდა, რომ ქ. ცხინვალში ჭავჭავაძის ქუჩაზე სამშენებლო სამმართველომ დაუმთავრებელი დატოვა წყალგაყვანილობა და ყურადღებას არავინ აქცევს. წერილთან დაკავშირებით ცხინვალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ზ. თვალაშვილი რედაქციას წერს:

„კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. სამუშაოები შეფერხდა წყალგაყვანილობის გაფართოების მთლიანი პროექტის და საჭირო ზომის მილების უქონლობის გამო. სამუშაოების დამთავრება დაგეგმილია მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.

* * *

— ნეტავი ერთი მოლარე მაინც იყოს, რომ ბილეთი შეიძინოს კაცმა, ან გაიგოს რომელი ავტობუსი როდის გავა ამა თუ იმ მიმართულებით? — აღნიშნავდა „კომუნისტში“ (№ 8) დაბეჭდილ წერილში გ. გუგეშაშვილი.

ამ წერილის გამო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ გვაცნობა:

მიმდინარე წლის თებერვლის ბოლომდე ცაგერში გაიხსნება ავტოსადგური, რაც დააკმაყოფილებს მგზავრებს, და წერილში წამოყენებული მოთხოვნილებანი შესრულებულ იქნება.

* * *

გორის რაიონის სოფელ ახალდაბის კლუბის ფანჯრები ჩამტვრეულია, ამიტომ კინოსეანსების დროს სიცივისაგან შეწუხებული მაყურებელი ბუზღუნით ტოვებს კლუბის დარბაზს — წერდა ნ. ყულიაშვილი „კომუნისტში“ (№ 16) გამოქვეყნებულ შენიშვნაში „სტრიქონები ამხილებენ“. კრიტიკულ შენიშვნასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. ეცადაშვილის შემდეგი პასუხი:

„კომუნისტში“ დაბეჭდილ შენიშვნაში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. კლუბს კაპიტალური შეკეთება ესაჭიროება. მიღებულია ზომები მიმდინარე წელს კლუბის კაპიტალურად შეკეთებისათვის, ამჟამად ფანჯრის მინები ჩასმულია.

# დავიცვათ და განვავითაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ისეთი გაქანება, ხორცის, რძის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისადმი ისეთი ყურადღება საქართველოში არასოდეს არ ყოფილა, როგორიც დღეს არის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის (1953 წ.) შემდეგ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შესამჩნევად გაიზარდა სარძეო პირუტყვის სულადობა. თბილისის, სხვა ქალაქებისა და კურორტების გარშემო შექმნილია სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მოწოდებული არიან მოსახლეობა მომარაგონ მეცხოველეობის ახალი პროდუქტებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები უსტლაბინსკელ მიწათმოქმედთა პატრიოტული მოწოდების პასუხად აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, ვალდებული არიან ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მათ ამ კეთილშობილურ საქმეში.

ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ყველგან, სადაც პირუტყვი ჰყავთ, საჭიროა მოეწყოს ვეტერინარული სანიტარულ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი, არ დავუშვათ ავადობა, კერძოდ, თურქული.

თურქული ადვილად გადამდები ავადმყოფობაა, ავადდება წყვილჩლიქოსნები — მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი, ცხვარი, თხა.

პირუტყვის თურქულით დაავადების თავიდან აცილება და ამ ავადმყოფობის, აგრეთვე დაავადების კერების ლიკვიდაცია დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, რადგან თურქულით მასობრივი დაავადების შემთხვევებში შეიძლება ბევრი პირუტყვი გაწყდეს. ამასთან დაკავშირებით მეცხოველეობის ყველა ფერმაში და იქ, სადაც პირუტყვი ჰყავთ, საჭიროა დაწესდეს სისტემატური მეთვალყურეობა პირუტყვზე. ავადობაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში (პირუტყვის უგუნებობა, უმადობა, ღრძილებსა და ენაზე ბუშტების გამოჩენა, ნერწყვდენა, კოჭლობა), საჭიროა დაუყოვნებლივ ვაცნობოთ ვეტერინარს და სასოფლო საბჭოს, ხოლო პირუტყვი ცალკე სადგომში გადავიყვანოთ. არ შეიძლება დავუშვათ პირუტყვის გადაჯგუფება, გადარეკა ვეტერინარის უნებართვოდ, საჭიროა ზუსტად დავიცვათ მისი რჩევა-დარიგებანი და რეკომენდაციები.

ვეტერინართა ყველა მითითება, რჩევა, რეკომენდაცია ზუსტად უნდა სრულდებოდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ თურქულის ვირუსი გარემოში ვრცელდება ავადმყოფი პირუტყვის ნერწყვით, ექსკრემენტით, რძით, ვირუსი არის აგრეთვე ხორცსა და კანში და ახასიათებს დიდი გამძლეობა. აუდუღარ რძეში, მაგალითად ვირუსები ინარჩუნებენ იმის უნარს, რომ დაავადება გამოიწვიონ 15 დღის მანძილზე, დამარილებულ ხორცში — 40 დღის, თივაში 180-200 დღის, ქატოში — 140 დღის, ფქვილში — 99 დღის, წუნწუხში — 156 დღის განმავლობაში და ასე შემდეგ. თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია თურქულის ვირუსი, ცხადყოფს ისიც, რომ პირუტყვი, რომელმაც გადაიტანა ეს ავადმყოფობა თითქმის ერთი წლის განმავლობაში ვირუსშემცველია და შეუძლია დააავადოს სხვა პირუტყვი.

თურქულით, მართალია იშვიათად, ადამიანიც ავადდება. ეს ავადმყოფობა თავიდან რომ ავიცილოთ, საჭიროა დავიცვათ გარკვეული სანიტარულ-პროფილაქტიკური წესები, კერძოდ კი, არ უნდა ვიღებდეთ აუდუღარ რძეს.

სახელმწიფო მკაცრ ვეტერინარულ კონტროლს უწევს დაავადების გაჩენასა და გავრცელებას. პირუტყვის თურქულით დაავადების შემთხვევაში ფერმებში, დასახლებულ პუნქტებში, საძოვრებზე წესდება კარანტინი, ხორციელდება ვეტერინარულ-სანიტარული და შესაზღუდი ღონისძიებანი. უზრუნველყოფილია მკაცრი სანიტარულ-ვეტერინარული ზედამხედველობა ქალაქის ბაზრებში, მუშათა დაბებში, რაიონულ ცენტრებში, რომლებიც მარაგდებიან მეცხოველეობისა და სხვა პროდუქტებით. ყველა ბაზარზე არის ხორცისა და რძის, აგრეთვე კვების საკონტროლო სადგურები, სადაც მუშაობენ კვალიფიციური ვეტერინარი ექიმები, ქიმიკოსები. ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები, რომლებიც ბაზრებსა და მაღაზიებში იყიდება, მოწმდება და მხოლოდ სპეციალური ვიზის შემდეგ, რომელიც ადასტურებს მის კარგ ხარისხს, იყიდება.

საჭიროა ვებრძოლოთ პირუტყვის ფარულ დაკვლასა და ხორცის ფარულ გაყიდვას, რადგან ამ შემთხვევებში შესაძლებელია ავადმყოფობის გავრცელება.

წარმატებით მხოლოდ მაშინ შეიძლება თავიდან ავიცილოთ პირუტყვის დაავადების გაჩენისა და გავრცელების შემთხვევები, თუ ზუსტად დავიცავთ ვეტერინართა მითითებებს, განვახორციელებთ პროფილაქტიკურ ღონისძიებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ცნობილია მეცხოველეობის ყველა მუშაკისათვის.

**თ. ჟღენტი,**
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს უფროსი.

## სპეციალისტები გვირჩევენ

# თესლი პასპორტს იღებს

მალე გაზაფხული დადგება., მხვნელ-მთესველები კარგა ხანია მინდვრად გავიდნენ. ითესება ხორბალი, ქერი, მზესუმზირა, ბარდა... ახლოვდება „მინდვრის დედოფლის“ თესვის ვადებიც, სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატები ახლა გულისყურით არჩევენ სათესლე სიმინდის ტაროებს. მახინჯ, მარცვალდაუსრულებელ, ბეღლის მავნებლებისაგან და სხვადასხვა დაავადებათა შედეგად დაზიანებულ ტაროებს არ გამოიყენებენ თესლად და ცალკე აწყობენ. მას მხოლოდ პირუტყვის საკვებად მოიხმარებენ.

სათესლედ გადარჩეული ტაროების მხოლოდ შუა ნაწილიდან მიღებულ მარცვალს გამოიყენებენ დასათესად, რადგანაც იგი უფრო მწიფეა, გაღივების კარგი უნარი აქვს და შედარებით მეტ მოსავალს მოგვცემს. ტაროს ბოლოსა და წვერის მარცვლები არათანაბრად არის განვითარებული, ადვილად ხვდებათ სხვადასხვა ავადმყოფობა, ხასიათდებიან მცირე მოსავლიანობით, ამიტომ მათაც მხოლოდ საფურაჟედ გამოიყენებენ.

ტაროს შუა ნაწილიდან გამოფშვნილი ყველა მარცვალი აკმაყოფილებს თუ არა თესლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს? — არა, არ აკმაყოფილებს.

კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სათესი მანქანის გამომთესი აპარატიდან თვითეულ ბუდნაში თესლის სასურველი რაოდენობით (2 ცალი) გამოთესვას, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას სიმინდის თესლის დაკალიბრებით.

**რას ნიშნავს დაკალიბრება?**

დაკალიბრება ნიშნავს თესლის გამოთანაბრებას სისქისა და სიბრტყის მიხედვით. დაკალიბრებულ თესლს სიმინდის სათესი მანქანის გამომთესი აპარატი მხოლოდ სასურველი რაოდენობით ჩაყრის მიწაში.

კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი მთელი ფართობის 87,2 პროცენტის დამუშავება ხდება მექანიზებული წესით, ხელის შრომის გამოუყენებლად. ამასთანავე ამ წესით თესვა ერთიორად ამცირებს თვითეულ ჰექტარზე საჭირო თესლის რაოდენობას. დაკალიბრებული თესლის აღმოცენება თანაბრად ხდება, მცენარე თანაზომიერად იღებს ნიადაგიდან საკვებ ნივთიერებასა და ტენს. მცენარე მზის სხივებითა და ჰაერით ნორმალურად სარგებლობს, მოსავალი სიმწიფეში თანაბრად შედის. ამ ერთი შეხედვით უბრალო ღონისძიებას შეუძლია მოსავალი ჰექტარზე 10-15 პროცენტით გაზარდოს.

**როგორ დავაკალიბროთ სათესლე სიმინდი?**

სპეციალურ მანქანებს გარდა, რომლებიც მიღებული აქვთ პურპროდუქტების ზოგიერთ დამამზადებელ ბაზებსა და პუნქტებს, იყენებენ „ოს-1,0“, „ოსმ-3,0“, „ოსმ-3,0“, „ოსმ-3უ“ და სხვა რთულ მარცვალსაწმენდ და დამხარისხებელ მანქანებს, რომელთაც უნდა მოერგოს გრძელჭრილიანი ცხრილები 3,4—6,3 მილიმეტრი განით და მრგვალჭრილიანი ცხრილი 7-16 მილიმეტრი განით.

მექანიზატორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თესლის დაკალიბრების დროს მანქანის სადგომის სისწორეს. ამასთან აუცილებელია ცხრილების სისტემატური გაწმენდა-გაბერტყვა, მაგრამ ეს სამუშაო უნდა ვაწარმოოთ სიფრთხილით, რომ არ დავაზიანოთ ეს მეტად საჭირო დეტალები.

თესლის დაკალიბრება დიდად საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებაა, მაგრამ ამოწურავს თუ არა ეს ღონისძიება სიმინდის თესლისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას? შეიძლება ითქვას, რომ არა. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გამოთანაბრებული სიბრტყე და სისქე სრულებითაც არ ნიშნავს თესლში არსებულ საკვებ ნივთიერებათა მარაგის მიხედვით გამოთანაბრებას. ამიტომ აუცილებელია თესლის დაკალიბრების შემდეგ მისი ხვედრითი წონის მიხედვით დახარისხება.

სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საჭიროა თესლი შეწამლოს გრანოზანის პრეპარატით. ეს პრეპარატი ცენტნერზე ასი გრამია საჭირო. მღრღნელების წინააღმდეგ იყენებენ ჰექსაქლოხანს ცენტნერ თესლზე სამასი გრამის რაოდენობით.

**ერთი რჩევაც:** ყველა ამ ღონისძიების შემდეგ სიმინდის თესლი აღმოცენების ენერგიის გასაძლიერებლად თესვის წინ 2-3 დღეს მზეზე უნდა გავაფიცხოთ.

ვთესოთ მაღალმოსავლიანი, დარაიონებული, გულდასმით დახარისხებული თესლი, ამ თავითვე მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ სიმინდის უხვ მოსავალს — აი რა არის მთავარი დღეს მხვნელ-მთესველთათვის.

**გ. დათუნაშვილი,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ხალხის რისხვა, აღშფოთება

## პროტესტები ერაყში მძვინვარე ტერორის გამო

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ უ ტანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მტკიცე პროტესტს აცხადებს ერაყში მძვინვარე ტერორის წინააღმდეგ და მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიას დაგმონ ეს ტერორი. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, ნათქვამია დეპეშაში, „გთხოვთ გამოიყენოთ თქვენს განკარგულებაში არსებული მთელი საშუალებანი, რათა ბოლო მოვუღოთ სისხლისღვრას ერაყში, ვიხსნათ ერაყელი პატრიოტები და დემოკრატები, რომელთა სიცოცხლე საფრთხეშია, პატივი ვცეთ ადამიანის უფლებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად".

ერაყში სისხლიანი ტერორია. ამასთან დაკავშირებით ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნომ პროტესტი განუცხადა ერაყის მთავრობას. დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალური მდივანი კარმენ ძანტი, ნათქვამია: „დიდად შეგვაშფოთა ცნობებმა ერაყის ქალთა კავშირის წევრთა წინააღმდეგ რეპრესიების შესახებ. მთელი მსოფლიოს 200 მილიონი ქალის სახელით მოვითხოვთ პატივი სცეთ ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ თავისუფლებებს, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ ბოროტმოქმედება და გაათავისუფლოთ დაპატიმრებულები".

**მთელ** პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად აღშფოთებულია ერაყში გამეფებული სისხლიანი რეპრესიების გამო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა. გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა ვ. ფრიდრიხმა ერაყის პრეზიდენტს არეფს გაუგზავნა საპროტესტო წერილი იმის წინააღმდეგ, რომ დევნიან დემოკრატებსა და ფიზიკურად უსწორდებიან ერაყის ბევრ პატრიოტს. ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტს საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა აგრეთვე გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარემ ჰ. ვარნკემ.

**გერმანიის** კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე პროტესტი განაცხადა სისხლიანი ტერორის წინააღმდეგ, რაც ერაყში ხდება. გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში ხაზგასმულია, თუ რა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ერაყელმა კომუნისტებმა და ერაყის ხალხის მთელმა პროგრესულმა ძალებმა ფეისალ-ნური საიდის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს მოითხოვოს ტერორის შეწყვეტა ერაყში და სოლიდარობა გამოუცხადოს ერაყელ პატრიოტებს.

**დიდი** შეშფოთებით შევიტყეთ, რომ ერაყში ტერორი მძვინვარებს მშვიდობის მომხრეებისა და დემოკრატების წინააღმდეგ, რომ ხოცავენ მშვიდობისათვის მებრძოლებს, ნათქვამია რუმინეთის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის დეპეშაში ერაყის პრეზიდენტისადმი. ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ პროტესტს მშვიდობისათვის ცნობილი მებრძოლის, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის აზიზ შერიფის დაპატიმრების წინააღმდეგ.

**პრაღაში** გაიმართა ჩეხოსლოვაკიელი და საზღვარგარეთელი სტუდენტების საპროტესტო მიტინგი ერაყელი დემოკრატებისა და პატრიოტების დევნის წინააღმდეგ. მიტინგის მონაწილეებმა მოუწოდეს ყველა ქვეყნის პროგრესულ საზოგადოებრიობას მტკიცე პროტესტი განაცხადოს ანტიხალხური ძალების თვითნებობის წინააღმდეგ ერაყში.

**ინდონეზიის** მშვიდობის მომხრეთა ეროვნულმა კომიტეტმა მოუწოდა ინდონეზიის ხალხსა და მთავრობას მტკიცე პროტესტი განუცხადონ ერაყის ახალ მთავრობას მასობრივი ხოცვა-ჟლეტისა და დაპატიმრებათა წინააღმდეგ, რაც ერაყში ხდება. დეპეშაში ერაყის მთავრობისადმი ეროვნული კომიტეტი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ მშვიდობისათვის მოძრაობის ხელმძღვანელებს დევნიან ერაყში.

# ჩინეთის ახალი ამბები

პეკინი, 19 თებერვალი, (საკდესი). შანხაის, შანიანის, ხარბინის, ტაიიუანის, გუანჯოუს და ჩინეთის სხვა ქალაქების ქიმიური მანქანათმშენებლობის ასზე მეტი ქარხანა უშვებს სხვადასხვა აპარატურასა და მოწყობილობას ქიმიური სასუქების ქარხნებისათვის, რომლებიც შენდება და ფართოვდება. ჩინელმა მანქანათმშენებლებმა აითვისეს კომპლექსური მოწყობილობის გამოშვება 100 ათასი ტონა სიმძლავრის აზოტოვანი სასუქის საწარმოებისათვის. ჩინური მოწყობილობით აღიჭურვება ქიმიური სასუქების დიდი ქარხნები, რომლებიც შენდება შანხაიში, კუნმინში, გუანჯოუში, ძილინის ქიმიური კომბინატის ქიმიური სასუქების ქარხანა, რომელიც ფართოვდება და სხვ.

პეკინის ელექტრომოწყობილობის ქარხანამ გამოუშვა 2,5 კუბური მეტრი მოცულობის დიდგაბარიტიანი ელექტრომაცივრების პირველი პარტია. ახალი მაცივარი კარადები, რომლებსაც ტემპერატურის ავტომატური მარეგულირებელი აქვთ, განკუთვნილია მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის.

პეკინელმა ფეიქრებმა აითვისეს ხელოვნური ბეწვის [illegible] წარმოება. გარეგნულად ახალი პროდუქცია თითქმის არაფრით არ განსხვავდება ნატურალური შევიოტისაგან, მაგრამ გაცილებით უფრო გამძლეა. ახლა დედაქალაქის სამი საფეიქრო ფაბრიკა აწარმოებს სამი სახეობის ხელოვნურ შევიოტს — ხელოვნური ბოჭკოს წმინდა შევიოტს, ხელოვნური ბოჭკოს შევიოტს ხელოვნური აბრეშუმის საფუძველზე და ბამბეულის საფუძველზე.

პეკინი, 20 თებერვალი. (საკდესი). ჩინეთის დიდი არხის რეკონსტრუირებულ 400 კილომეტრ უბანზე ყოველ საბუქსირო გემს ახლა შეუძლია წაიყვანოს 12 კარჭაპი, რომლებზეც საშუალოდ 100-200 ტონა ტვირთი იქნება. წინათ არხის ეს უბანი ვარგოდა მხოლოდ მცირე იალქნიანი ნავებისათვის, რომელთა წყალწყვა სულ ბევრი 30 ტონა იყო. ამას იუწყება სინხუას სააგენტო.

არხის რეკონსტრუქცია დაიწყო 1958 წელს.

ამ არხის რეკონსტრუქციის სამუშაოები ნაწილია მრავალი წლის გეგმისა, რომელიც ითვალისწინებს ნაოსნობის გაუმჯობესებას დიდი არხის მთელ სიგრძეზე, მისი სიგრძე პეკინიდან ხანჯოუმდე უდრის 1700 კილომეტრს.

ორი ათასი წლის წინათ აგებული არხი ერთმანეთს უკავშირებს სამხრეთ და ჩრდილოეთ ჩინეთს.

# მდგომარეობა ერაყში

ПАРИЖИ, 19 თებერვალი, (საკდესი). გაზეთ „ფიგაროს" სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც ახლა ბაღდადში იმყოფება, იუწყება, რომ არ წყდება რეპრესიები ერაყის ფართო დემოკრატიული ფენების წინააღმდეგ.

„ბაღდადში, — წერს იგი, — კვლავ გრძელდება „ნადირობა კუდიანებზე". ბაღდადის რადიომ მოუწოდა ყველა მოქალაქეს, რომლებიც კომუნისტებს იცნობენ, დაწერონ მათი გვარები ქაღალდის ფურცელზე და გაუგზავნონ სამხედრო სარდლობას. შეგვიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ როგორი იქნება დაბეზღების ამ ოფიციალური წაქეზების შედეგები ერაყში, სადაც უამისოდაც ესოდენ დიდია შუღლი.

ამას გარდა, რამდენადაც კომუნისტური პარტია უკვე არაერთი წელია იატაკქვეშეთში იმყოფება, მისი წევრობა შეიძლება ბრალად დაედოს ვისაც გნებავთ, ვინც ცნობილია მემარცხენე სიმპათიებით ან ოპოზიციით ხელისუფლებისადმი, ცხადია, რომ პარტიული ბილეთის დამოწმება საჭირო აღარ არის. ერაყის კომუნისტები, რომლებიც კარგად არიან ორგანიზებული და დიდი ხანია შეეჩვივნენ იატაკქვეშეთს, ჯერ კიდევ წარმოადგენენ ძალას, მიუხედავად მძიმე დარტყმისა, რასაც მათი რიგები განიცდის უკანასკნელ დღეებში".

კორესპონდენტი ახასიათებს ვითარებას ერაყის დედაქალაქში და აღნიშნავს, რომ „ატმოსფეროს, რომელიც ახლა არის შექმნილი ბაღდადში, საერთო არაფერი აქვს რა იმასთან, როგორიც იყო 1958 წლის 14 ივლისის რევოლუციის დროს, როცა ხალხთა მასებით აივსო ქუჩები და ისინი მიესალმებოდნენ რესპუბლიკის დაბადებას. ამჯერად არავითარი მასები არ არიან. ქალაქს ემუქრებიან ტანკები, რომლებიც კვლავ ქუჩებში დგანან. კომენდანტის საათი იწყება 23 საათზე. ვერავინ გავა ქალაქიდან და ვერავინ შევა ქალაქში უნებართვოდ. იგრძნობა უკმაყოფილება, განსაკუთრებით მუშებს შორის".

8 თებერვალს, — განაგრძობს კორესპონდენტი, — ბაღდადის რადიომ მოუწოდა მოქალაქეებს, გამოსულიყვნენ ქუჩაში, რათა ეჩვენებინათ, რომ მხარს უჭერენ ახალ რეჟიმს. მაგრამ არავინ არ გამოეხმაურა ამ მოწოდებას. სამაგიეროდ 11 თებერვალს მოეწყო ფართო სახალხო დემონსტრაცია დატაკთა უბნებში ტიგროსის აღმოსავლეთ ნაპირზე.

დემონსტრანტები გაიძახოდნენ ახალი რეჟიმისადმი უნდობლობის ლოზუნგებს. და კვლავ ჩაერივნენ ტანკები, ისინი ისროდნენ ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევებს, რომ გაერეკათ დემონსტრაციის მონაწილენი. მას შემდეგ არავის მოუწოდებია მოსახლეობისათვის, რომ მოეწყო დემონსტრაციები. მთავრობას ეშინია ამ რისკის გაწევისა".

ПАРИЖИ, 19 თებერვალი. (საკდესი). თეირანის გაზეთის „ქეიხანის" კორესპონდენტი, რომელიც ახლა ირან-ერაყის საზღვარზე იმყოფება, იტყობინება, რომ, ფრანს პრესის სააგენტოს ცნობებით, კირკუკსა (ჩრდილოეთი ერაყი) და ამარაში (სამხრეთი ერაყი) წარმოებს ბრძოლები ახალი რეჟიმის მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს შორის. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ახალი რეჟიმის მოწინააღმდეგეებმა, შესაძლოა, უკვე დაიკავეს მთელი რაიონი, რომელიც ქალაქ ამარას ესაზღვრება. ქუჩის ბრძოლების დროს, დასძენს იგი, ქალაქ კირკუკის დიდი ნაწილი აგრეთვე მათ ხელში გადავიდა.

გვინეის რესპუბლიკა. სოფელ დიტინში ადგილობრივი სკოლის მშენებლობისადმი მიძღვნილი კრება. გადაწყდა, რომ სოფლის ყველა მცხოვრები მიიღებს მონაწილეობას სასკოლო შენობის აგებაში.

ფოტო ვ. ხუხლაევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).



# ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოს სიერა-ლეონეს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მოაწყოს ეკონომიური სანქციები პორტუგალიის წინააღმდეგ. ახალი კანონპროექტის შესაბამისად იკრძალება სიერა-ლეონეში პორტუგალიის საქონლის შეტანა. ყველა პორტუგალიელ მოქალაქეს, რომლებიც სიერა-ლეონეში ცხოვრობენ, წინადადება მიეცათ სამი თვის ვადაში დატოვონ ამ ქვეყნის ფარგლები.

◆ ობერჰაუზენში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გაიხსნა მოკლემეტრაჟიანი ფილმების IX საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალზე ნაჩვენები იქნება 30 ქვეყნის 100-მდე ფილმი, მათ შორის რამდენიმე საბჭოთა მოკლემეტრაჟიანი და მულტიპლიკაციური ფილმი. საუკეთესო ფილმები დაჯილდოვდება სპეციალური პრიზებით.

◆ თურქეთის გაზეთი „ენი საბაჰი" იუწყება: ამერიკის შეერთებული შტატების წყალქვეშა ნავები, რომლებზეც არის „პოლარისის" ტიპის რაკეტები, მიმდინარე წლის აპრილში ეწვევიან სტამბოლის ნავსადგურს. წყალქვეშა ნავები ეწვევიან თურქეთის სხვა ნავსადგურებსაც. „პოლარისის" ტიპის რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები, წერს გაზეთი „ჯუმჰურიეთი", ჩვენს ნავსადგურებში შემოვლენ იმ მიზნით, რომ დაამტკიცონ „იუპიტერის" ტიპის რაკეტები, რომელთა დემონტაჟი ამჟამად წარმოებს, უფრო თანამედროვე და მოქმედი იარაღით შეიცვლება.

◆ ესპანეთის პოლიციამ დააპატიმრა კიდევ ექვსი ფრანგი ოას-ელი, რომლებიც ამჟამად ესპანეთში იმყოფებიან. დაპატიმრებულ ოას-ელთა საერთო რიცხვი 12 კაცს აღწევს. როგორც საფრანგეთის პრესა იუწყება, ესპანელი ხელისუფლები შეუთანხმდნენ ფრანგ ხელისუფლებს მოაწყონ უფრო მკაცრი პოლიტიკა ლტოლვილ ოას-ელთა წინააღმდეგ. ამის პასუხად საფრანგეთის მთავრობამ აღუთქვა მათ, რომ მიიღებს რეპრესიულ ღონისძიებებს საფრანგეთში მყოფი ესპანელი ანტიფაშისტების მიმართ.

◆ თვითნაკეთი ბომბი აფეთქდა საფრანგეთის ბარსელონის (ესპანეთი) საკონსულოში. აფეთქებას ზარალი არ მოჰყოლია. მეორე ბომბი არ აფეთქებულა. (საკდესი).

# „ცოფიანები" არ ცხრებიან

**ვაშინგტონი**, 19 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იტყობინება:

ამერიკის აგრესიული კონგრესმენები არ წყვეტენ ღვარძლიან კამპანიას კუბის წინააღმდეგ. შეერთებული შტატების დედაქალაქში კვლავ გაისმის მოწოდებანი კუბის ბლოკადისათვის და სხვა „პოზიტიურ" ღონისძიებათა განხორციელებისათვის კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

თავდაპირველად „ცოფიანთა" წარმომადგენლებმა დიდი აურზაური ატეხეს იმასთან დაკავშირებით, თითქოს კუბაში „კვლავ იზრდებოდეს საბჭოთა სამხედრო ძალა" და, რომ იქ კვლავ არიან მოქმედების საშუალო რადიუსის საბჭოთა რაკეტები. ეს სიცრუე უარყო პრეზიდენტმა კენედიმ, აგრეთვე თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ თავიანთ განცხადებებში.

ახლა კუბის მოძულენი გაჰყვირიან, რომ კუბა ქმნის „ძირგამომთხრელი საქმიანობის საფრთხეს", რომ, „იქმნება საფრთხე კომუნიზმის გავრცელებისა" დასავლეთ ნახევარსფეროში. ამ ყვირილს თან ახლავს მოწოდება, რომ გამოიყენონ ყველა საშუალება კუბის რესპუბლიკის ჩასახშობად.

სენატორმა-დემოკრატმა დ. სტენისმა გუშინ თავის გამოსვლაში ტელევიზიით განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა „ძირფესვიანად უნდა ამოძირკვონ" კომუნიზმი დასავლეთ ნახევარსფეროში. ამასთან დაკავშირებით მისი წინადადებაა გაძლიერდეს პოლიტიკური, დიპლომატიური და ეკონომიური ზეგავლენა კუბაზე.

ანალოგიური განცხადება გააკეთა რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ უ. მილერმა. კენედის მთავრობამ, განაცხადა მან, უნდა განიხილოს ის საკითხი, რომ განახლდეს კუბის საზღვაო კარანტინი (ესე იგი ბლოკადა), ისეთივე, როგორიც იყო გასული წლის ოქტომბერში.

სენატორმა ბ. ჰიკენლუპერმა, რომელიც რესპუბლიკელთა პოლიტიკურ კომიტეტს მეთაურობს სენატში, ბრალი დასდო დემოკრატებს, რომ ისინი „ახუმათებენ" საფრთხეს, რასაც დასავლეთის ნახევარსფეროს უქმნის „საბჭოთა სამხედრო ბასტიონი" კუბაში.

# სამიში შეთანხმება

**ПАРИЖИ**, 20 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა რაიმონ გიუიომ გაზეთ „ლუმანიტეში" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აკრიტიკებს ატომური დამკვრელური ძალის შექმნისა და დასავლეთ გერმანიასთან კავშირის პოლიტიკას, რასაც დე გოლი ახორციელებს.

დამკვრელური ძალის შექმნა, წერს რაიმონ გიუიო, ფლანგავს ქვეყნის რესურსებს, აძლიერებს გამალებულ შეიარაღებას და გარდუვალად იწვევს ბონის გერმანიის ატომურ შეიარაღებას.

ახლა, წერს გიუიო, არ იქნება რაიმე საიდუმლო ჰიტლერელი გენერლებისა და სამხედრო დამნაშავეებისათვის, რომლებიც ბუნდესვერს ხელმძღვანელობენ. გერმანიის შეიარაღებისათვის აღარ იქნება რაიმე ზღვარი. ის ფაქტი, რომ საფრანგეთი განაგრძობს განიარაღების ჟენევის თათბირის ბოიკოტს, „დასავლეთგერმანელ მილიტარისტებს აძლევს საბაბს ამოეფარონ ამ ფასადს, რათა რაც შეიძლება მალე მიიღონ მასობრივი მოსპობის იარაღი". ამ მხრივ, ხაზს უსვამს რაიმონ გიუიო, დე გოლის საგარეო პოლიტიკა ხორციელდება საფრანგეთის ეროვნული ინტერესებისა და უშიშროების საზიანოდ.

რაიმონ გიუიო აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ატომური დამკვრელური ძალის შექმნა და საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულება „ის იარაღებია, რომლებსაც კატასტროფისაკენ მიჰყავს ევროპა და მთელი მსოფლიო", და ხაზს უსვამს, რომ „მშვიდობის მომხრეთა პირველი მოვალეობაა საზოგადოებრიობას შეაგნებინონ მთავრობის პოლიტიკის ეს ავანტიურისტული და საომარი ასპექტი". ხალხის მასებს მხურვალედ სურთ, რომ საფრანგეთი მონაწილეობდეს მშვიდობიან მოლაპარაკებაში და უწინარეს ყოვლისა 18 სახელმწიფოს კომიტეტის ჟენევის თათბირის მუშაობაში. მშვიდობის ეროვნულმა მოძრაობამ, წერს გიუიო, რომელიც შეესაბამება ამ მისწრაფებას, იკისრა ინიციატივა მოიწვიოს გენერალური შტატები განიარაღებისათვის, რაც გაიმართება 19 მაისს პარიზში.

# დანგეს გამოსვლა

**დელი**, 19 თებერვალი. (საკდესი). ბომბეიში მიტინგზე გამოვიდა ინდოეთის კომუნისტური პარტიის [illegible] შ. ა. დანგე. მან საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ბევრ ინდოელ კომუნისტს აპატიმრებენ რეაქციული პროფკავშირების ძალდატანებით, რომლებიც ცდილობენ შეარყიონ კომპარტიის გავლენა ინდოეთის პროფკავშირებში.

დანგემ მკვეთრად გააკრიტიკა რეაქციული სახალხო-სოციალისტური პარტია და სტავანტრას პარტია, რომლებიც ცდილობენ ინდოეთის ეროვნული კონგრესის მმართველი პარტიის მემარჯვენე ფრთასთან ბლოკით გადაახვიონ ინდოეთი მიუმხრობლობის გზას.

# ნეიტრალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა სხდომა

**ჟენევა**, 18 თებერვალი. (საკდესი). ერების სასახლეში დღეს გაიმართა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობის მონაწილე ნეიტრალისტური ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელთა დახურული სხდომა.

სხდომის დამთავრების შემდეგ პრესის წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ ნეიტრალისტური ქვეყნების დელეგატებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

# ირანის ახალი მთავრობა

**თეირანი**, 19 თებერვალი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს ირანის მთავრობის ახალი შემადგენლობა, რომელიც შეადგინა პრემიერ-მინისტრმა ალამმა.

ახალ პირთაგან მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ პირასტე — შინაგან საქმეთა მინისტრი, ალი ხანი — მრეწველობის, სამადნოებისა და ვაჭრობის მინისტრი, მოინიანი — გზათა მინისტრი, ბახერი — იუსტიციის მინისტრი, ხოშბინი და ტაფაზოლი — უპორტფელო მინისტრები.

ძველ პოსტებზე დარჩნენ სამხედრო მინისტრი გენერალი ნაგდი, საგარეო საქმეთა მინისტრი არამი, ფინანსთა მინისტრი ბეხნია, სოფლის მეურნეობის მინისტრი არსანჯანი, შრომის მინისტრი ხოსროვანი, ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მინისტრი სამიი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი რიახი და განათლების მინისტრი ხანლარი.

# დაიცვათ დემოკრატია საბერძნეთში

**ათენი**, 19 თებერვალი. (საკდესი). საბერძნეთის ეროვნული გმირი მანოლის გლეზოსი ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეთა ჯგუფთან ერთად ეწვია ვოლოსს. როგორც გაზეთი „ავგი" იუწყება, ქალაქისა და ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლები გულთბილად მიესალმნენ გლეზოსს.

გლეზოსმა სიტყვა წარმოთქვა ქალაქში გამართულ კრებაზე, რომელზეც მოითხოვა პოლიტპატიმრების განთავისუფლება და მოუწოდა ბერძენ ხალხს გააძლიეროს ბრძოლა დემოკრატიის დასაცავად თავის ქვეყანაში. გლეზოსმა დაგმო მოქმედი კონსტიტუციის შეცვლის გეგმები, რომლებიც მთავრობამ შეიმუშავა, ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გეგმები მიზნად ისახავენ პოლიტიკური ცხოვრების ფაშიზაციას.

გლეზოსმა მოუწოდა ბერძენ დემოკრატებს ერთობისათვის.

# ფრანკო ეხმარება სალაზარს

**ПАРИЖИ**, 20 თებერვალი. (საკდესი). ესპანეთის კომუნისტური პარტია მოუწოდებს ყველა ესპანელს მოითხოვონ, რომ დაუყოვნებლივ დააბრუნონ ესპანეთში ჯარის ნაწილები, რომლებიც პორტუგალიის გვინეაში იმყოფებიან. იგი მოუწოდებს აგრეთვე არმიის ჯარისკაცებს, უნტერ-ოფიცრებსა და ოფიცრებს იბრძოლონ იმის წინააღმდეგ, რომ ესპანეთში გაგზავნონ ჯარის ნაწილები სხვა ხალხების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც თავიანთ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავენ.

ეს აღნიშნულია ესპანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ 6 თებერვალს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში პორტუგალიის გვინეაში დახოცილია 14 ესპანელი ჯარისკაცი.

# ადენაუერი უნდა გადადგეს!

**ბონი**, 20 თებერვალი. (საკდესი). ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ხელმძღვანელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მოითხოვეს ბუნდესტაგში ამ პარტიის ფრაქციის გამგეობის გუშინდელ სხდომაზე, რომ კანცლერი ადენაუერი გადადგეს მიმდინარე წლის შემოდგომაზე, იუწყება დპას სააგენტო, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმას, რომ სხდომას ადენაუერი არ ესწრებოდა.

სხდომაზე განიხილეს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის დამარცხების შედეგები დასავლეთ ბერლინის დეპუტატთა საქალაქო და რაიონული კრებების არჩევნებში. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელმა წარმომადგენლებმა, მათ შორის ბუნდესტაგის თავმჯდომარემ გერსტენმაიერმა, რომლებიც სხდომაზე გამოვიდნენ, აღნიშნეს, რომ საჭიროა ჯერ კიდევ პარლამენტის საზაფხულო არდადეგებამდე საზოგადოებრიობამ შეიტყოს ადენაუერის გადადგომის თარიღი და მისი მემკვიდრის სახელი.

როგორც აქ იუწყებიან, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტია აპირებს ნათელი გახადოს ეს საკითხი, ითვალისწინებს რა ლანდტაგის მომავალ არჩევნებს.

# დაპატიმრებანი ინდოეთში

**დელი**, 19 თებერვალი, (საკდესი). ინდოეთის პრესა იუწყება, რომ გრძელდება ინდოეთის კომპარტიის წევრთა დაპატიმრება. დასავლეთ ბენგალიაში დაპატიმრებულია შტატის საკანონმდებლო კრების კომუნისტი დეპუტატი. უტარ პრადეშის შტატში „ინდოეთის თავდაცვის კანონის" საფუძველზე დაპატიმრებულია ორი კომუნისტი.

# ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება ვაშინგტონში

**ვაშინგტონი**, 19 თებერვალი (საკდესი). აქ დაიწყო მესამე ტური ინგლის-ამერიკის მოლაპარაკებისა, რომლის მიზანია დეტალურად შეიმუშაოს ის გეგმები, რომ მიეცეს ინგლისს „პოლარისის" რაკეტები და შეიქმნას „ნატოს დამკვრელი ძალები".

როგორც ცნობილია, შეთანხმებას პრინციპულად ამ საკითხზე მიაღწიეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰ. მაკმილანმა ნასაუს თათბირზე გასული წლის დეკემბერში.

მოსალოდნელია, რომ მოლაპარაკება ამ კვირის დამლევამდე გასტანს.

# სამხედრო მოლაპარაკება

**ლონდონი**, 20 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ დაიწყო ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის ორი დღის სამხედრო მოლაპარაკება. ინგლისის თავდაცვის სამინისტრომ უარი თქვა რაიმე განცხადებების მოლაპარაკების შესახებ. სამინისტროს წარმომადგენელმა თქვა, მოლაპარაკება საიდუმლოაო. მაგრამ აქ მიაჩნიათ, რომ მოლაპარაკებაზე განიხილავენ საკითხს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იარაღს შეისყიდის ინგლისისაგან, და ინგლის-დასავლეთ გერმანიის სამხედრო თანამშრომლობის საკითხს.

# „ანსოატეგის" რეისი

**ნიუ-იორკი**, 20 თებერვალი. (საკდესი), ვენესუელის გემმა „ანსოატეგიმ" გუშინ ღუზა აუშვა ბრაზილიის კუნძულ მარაკის მახლობლად. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ბრაზილიის ადმირალმა როდრიგესმა განაცხადა, რომ გემი წავიდა მაკაპის ნავსადგურისაკენ, რომელიც მდებარეობს მდინარე ამაზონკის შესართავთან, საიდანაც ბრაზილიელი ლოცმანები წაიყვანენ მას ბელენის ნავსადგურში.

გემის გზა გადის ბრაზილიის სანაპიროს მახლობლად. სიფრთხილის ეს ღონისძიება გამოწვეულია იმით, რომ ბრაზილიის ტერიტორიული წყლების ახლოს დაძრწიან ვენესუელის სამხედრო ხომალდები. მათი ამოცანაა ხელთ იგდონ „ანსოატეგი" იმ შემთხვევაში, თუ ხომალდი შევა საერთაშორისო წყლებში.

**ნიუ-იორკი**, 20 თებერვალი. (საკდესი). გემმა „ანსოატეგიმ", რომელიც ბეტანკურის დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლმა ვენესუელელმა პატრიოტებმა ხელში ჩაიგდეს, წარმატებით დაამთავრა გმირული რეისი. საინფორმაციო სააგენტოების უკანასკნელი ცნობებით გემი სანტანის ნავსადგურში (ამაზონკის შესართავი) აჯანყებულებმა გადასცეს ბრაზილიელ ხელისუფალთა განკარგულებაში. პატრიოტები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს გემი, ამჟამად ინტერნირებული არიან. ბრაზილიის მთავრობამ მათ პოლიტიკური თავშესაფარი აღუთქვა.

# ატომური ბომბები ინგლისის თავზე

**ლონდონი**, 19 თებერვალი. (საკდესი). ინგლისი ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი ავიაბაზა უნდა გახდეს ატომურ ბომბდამშენთა ახალი დამკვრელი შენაერთების სისტემაში, რომლებიც ნატოს სამხედრო ბლოკს გადაეცემა „ნასაუს პაქტის" შესასრულებლად, რაც გასული წლის დეკემბერში დაიდო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მაკმილანს შორის.

გაზეთ „დეილი ექსპრესის" საქმეს გაცნობილი სამხედრო მიმომხილველი ჩეპმენ პინჩერი, იუწყება რა ამას, აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებენ გაგზავნონ ინგლისს შერეული შენაერთები, რომლებშიც იქნება „ბ-52-სტრატოფორტრესის" მძიმე რეაქტიული ბომბდამშენები და „ბ-58-ჰასტლერის" ზებგერითი ბომბდამშენები.

ეს ბომბდამშენები, რომლებიც მომარჯვებულია წყალბადის ბომბების გადასაზიდად, განლაგდება ამერიკის შეერთებული შტატების ბაზებზე ინგლისში გრინჰემკომონში (ბერქშირი), ბრაიზ-ნორტონში და აპერ-ჰეიფორდში (ოქსფორდშირი) და ფეიფორდში (გლოსტერშირი). ყველა ეს ბომბდამშენი, აზუსტებს პინჩერი, იქნება ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის გენერალ ლემნიტცერის გამგებლობაში.

მიმომხილველის სიტყვით, ინგლისის თავდაცვის უწყებათა ხელმძღვანელებს „მიაჩნიათ, რომ ორი წლის განმავლობაში ბევრი ეს ბომბდამშენი უნდა იყოს ჰაერში თავიანთ მრავალმეგატონიან ბომბებთან ერთად, რათა თავიდან აიცილონ მიწაზე მოსპობის საფრთხე". მიმომხილველმა პინჩერმა ამჯობინა არაფერი ეთქვა იმაზე, თუ რა საფრთხეს უქმნის ინგლისის მოსახლეობას ...

# ლეიბორისტები და ნაციონალიზაცია

**ლონდონი**, 19 თებერვალი. (საკდესი). თემთა პალატაში მეტალურგიული მრეწველობის საკითხზე გამართული კამათის დროს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ვილსონმა განაცხადა, მე და მთელი ლეიბორისტული პარტია ვიცავთ პარტიის წესდების მეოთხე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს „წარმოების, გა- ...

# ამერიკის განწირული თაობა

**ვაშინგტონი**, 20 თებერვალი. (საკდესი). „ჩვენს ქვეყანაში იზრდება ახალი „განწირული თაობა", რომელსაც მომავლის ნაკლები იმედი აქვს და არ გააჩნია რაიმე ჩვევა", — ხაზგასმულია ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრის რობერტ კენედის განცხადებაში, რომელიც მან გააკეთა წარმომადგენელთა პალატის განათლებისა და შრომის საკითხთა კომისიაში.

თავის განცხადებაში იუსტიციის მინისტრს მოჰყავს ცნობები, რომ ბევრი ამერიკელი ჭაბუკი და ქალიშვილი იძულებულია მიატოვოს სკოლა და შეემატოს ისედაც დიდ უმუშევართა არმიას.

მომავლის პერსპექტივობას ახალგაზრდობისათვის სავალალო შედეგი მოაქვს — ხულიგნობა და დამნაშავეობა.

1960 წელს მცირეწლოვან დამნაშავეთა სასამართლო საქმეები ექვსი პროცენტით გადიდდა 1959 წელთან შედარებით. 1960 წელს დააპატიმრეს 1 მილიონი მცირეწლოვანი დამნაშავე.

# ზამთრის კაპრიზები

## ◆ ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. ◆ უდიდესი ზარალი კოკისპირული წვიმების გამო

**ПАРИЖИ**. ძლიერი თოვლი და ქარბუქი უეცრად დაატყდა თავს 19 თებერვალს დილაადრიან საფრანგეთის დედაქალაქს. როცა დილით სამუშაოზე გამოვიდნენ, პარიზელებმა დაინახეს, რომ ქუჩები თოვლსა და ყინულის ქერქს დაეფარა. მოყინვამ გამოიწვია ქალაქის ქუჩებში უსაძრაობა და ავტომობილების შეჯახება. პარიზის მიწისზედა ტრანსპორტი დილიდანვე მუშაობდა არარეგულარულად. პარიზის მეტროს მატარებლები გაჭედილი იყო.

პარიზის ორ მთავარ აეროდრომზე — ორლისა და ბურჟეს აეროდრომებზე ადმინისტრაცია იძულებული იყო გადაედო ზოგიერთი რეისი ასაფრენი დასაჯდომი მოედნების ცუდი მდგომარეობის გამო.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ათასობით ადამიანი დარჩა უსახლკაროდ ესპანეთში, პორტუგალიასა და სამხრეთ ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გასული კვირის დამლევს მომხდარი ძლიერი წყალდიდობის შედეგად. პორტუგალიის ცენტრში მოხდა ისეთი ძლიერი წყალდიდობა, როგორიც არ ყოფილა მრავალი წლის განმავლობაში. იქ და მეზობელ ესპანეთში წყალდიდობამ დიდი ზიანი მიაყენა ნათესებს. ზარალი, რაც გამოიწვია ზეთისხილის კორომების დაზიანებამ ქალაქ უბედის რაიონში (სამხრეთი ესპანეთი), შეადგენს დაახლოებით 10 მილიონ პესეტს.

**რომი**. 10 კაცი დაიღუპა და დაახლოებით 100 სერიოზულად დაშავდა — ასეთია ტრაგიკული შედეგი წყალდიდობისა იტალიაში — სალერნოს ზონასა და ნეაპოლის პროვინციის იმ რაიონებში, რომლებიც ვეზუვიის სამხრეთით მდებარეობენ. კოკისპირულმა წვიმებმა, რაც რამდენიმე დღეს გაგრძელდა, გამოიწვიეს მდინარეების ადიდება, რომლებმაც გაარღვიეს კაშხალები და დატბორეს მთელი ახლოს მდებარე ადგილი. წყალდიდობის შედეგად მთლიანად შეწყვეტილია ტრანსპორტის მიმოსვლა საავტომობილო მაგისტრალებზე, დატბორილია ნათესები, დანგრეულია დიდძალი სხვადასხვა ნაგებობა და გლეხების დაახლოებით ასი სახლი.

წყალდიდობის გამო გამოწვეული ზარალის საერთო ოდენობა აღემატება 100 მილიარდ იტალიურ ლირას. (საკდესი).

# გრიგალი ფლორიდაში

**ნიუ-იორკი**, 20 თებერვალი. (საკდესი). ფლორიდის შტატის ცენტრალურ ნაწილს თავს დაატყდა ძლიერი გრიგალი, რომელსაც მოჰყვა წვიმა, თოვლი და სეტყვა. ქარმა, რომლის სიჩქარე საათში ას კილომეტრს უდრიდა, მოგლიჯა ასობით ციტრუსოვანთა ხე, ტელეგრაფის ბოძები და სატრანსფორმატორო ჯიხურები. აეროდრომებზე დაზიანდა 40-მდე თვითმფრინავი. ქარმა ქალაქ ტამპის რამდენიმე სახლს სახურავი მოგლიჯა. ქალაქ ლეიკლენდში გრიგალით გამოწვეული ზარალი ასიათას დოლარს უდრის.

# დე გოლი ომით ემუქრება ევროპას

## საბჭოთა არმიის 45 წლისთავისათვის




ის, რაც მინდა „კომუნისტის" მკითხველებს შევთავაზო, თითქოს ბოლოსიტყვაა „მარუხის უღელტეხილის საიდუმლოებისათვის". ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი უკანასკნელი ფურცელია დროის მიხედვითაც კი.

საფრონტო გაზეთის (საველე ფოსტა 731, ნაწილი 302) სპეციალური კორესპონდენტის მოუსვენარმა და მრავალმხრივ საინტერესო სამსახურმა 1942 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში მიმიყვანა მარუხის უღელტეხილზე, ანუ, როგორც მაშინ საჭირო იყო დაგვეწერა, „კავკასიონის მთებში".

იმ ხანად პოლკოვნიკ პიპიევის ჯგუფის ჯარები მტკიცედ იდგნენ აქტიურ თავდაცვაზე, მეთოდურად ერეკებოდნენ „ედელვაისის" დივიზიის ზორბა ბავარიელებს, ეგერებს და ტიროლელებს ქედიდან უკან — მდინარე მარუხის ნაპირებზე (ყუბანის აუზი). ჩვენი შენაერთები — უმთავრესად გვარდიული სატანკო და მსროლელთა შენაერთები — უკვე თავს იყრიდნენ გადამწყვეტი შეტევისათვის, ემზადებოდნენ ვიწროებიდან ყუბანის დაბლობზე გასაჭრელად.

და აი იმ ნოემბრის დღეებში სამხრეთის ზღვისპირა ქალაქიდან — ახლა მისი პირდაპირ დასახელება შეიძლება — სოხუმიდან საიმედო, ყველგანმავალ „უ-2" თვითმფრინავებს მარუხის უღელტეხილზე მიჰქონდათ საბრძოლო მასალები, სურსათი, დაკონსერვებული სისხლი, ქურქები. ერთხელ სამხედრო კორესპონდენტმაც მოახერხა თვითმფრინავში ჩაჭედილიყო.

ყველაფერი, რის დაწერაც შევძელი მაშინ, დაიბეჭდა საფრონტო გაზეთ „ბოეც რკკა"-ს სამ ნომერში საერთო სათაურით „უღელტეხილთან". პირველი ნარკვევი 18 ნოემბერს ჯერ კიდევ ჩვეულებრივ თეთრ საგაზეთო ქაღალდზე დაიბეჭდა. მეორე და მესამე — ყვითელ სახვევ ქაღალდზე...

### თვითმფრინავი მთებში მიდის

აეროდრომის გარეგნობა ცხოველ ინტერესს იწვევდა. მისი ღობე ნაყოფით დახუნძლული მანდარინისა და [illegible]



[illegible] ობს, პილოტს ხელი საჭეზე უდევს. წითელარმიელებს სწრაფად მიაქვთ ტომრები, ყუთები და ტვირთავენ კაბინებში. ზუსტად წუთნახევრის შემდეგ თვითმფრინავი კვლავ მოსწყდა მიწას და გაფრინდა.

მოდის ესკადრილიის მეთაური, ხელში საათი უჭირავს.

— ნახეთ? ეს ის პრიმოვია, რომელმაც უღელტეხილზე ახალი ტრასა გაკვალა. მშვიდობიან დროს, რა თქმა უნდა, ასეთი გაფრენების ნებას არავინ არ დართავდა. სულ ქედების თავზე უნდა ფრენა სამი ათას მეტრ სიმაღლეზე, მარადიულ თოვლს, მყინვარებს ზემოთ. ერთი სიტყვით, აქ შეცდომის დაშვება არ შეიძლება, ადგილამდე უნდა მიფრინდე.

ომმა მაღლა მთებში აიწია, ისეთ ადგილებში, სადაც წინათ ადამიანი იშვიათად გამოჩნდებოდა. ქვემოთ, შორს ღრუბლებს ქვეშ, ოდნავ მოჩანს ბილიკები. წერაქვითა და ამონალით იკაფავენ გზას ვაჟნებისა და პურის მიმტანნი. თორმეტი დღეღამე, რაც მიიწევენ ისინი ამ ადგილისაკენ, სადაც მხოლოდ იწყება ასასვლელი უღელტეხილზე. ღამით აეროდრომზე გენერალი მოვიდა. მაგიდაზე გადაშალა რუკა, რომელზეც ჩანდა მხოლოდ მიხაკის ფერი — მთიანეთის აღმნიშვნელი ფერი, და მცდელი თვალი მოავლო მფრინავებს.

— ნება მიბოძეთ, — სთხოვა ლეიტენანტმა პრიმოვმა. — მე ვიპოვნი ძირდასაშვებ მოედანს.

პრიმოვი გაფრინდა, აეროდრომზე კი ახალი ცნობა მიიღეს, ერთი ძალიან სამხრეთი და ძალიან თბილი ქალაქიდან მთებში ქარავანი წავიდაო. ფრთხილად მიაბიჯებდნენ სახედრები. მეგზურები ამბობდნენ, მიზანი ახლოს არისო. საღამოხანს ქარიშხალი ამოვარდა, ყველაფერი ღრმა თოვლით დაიფარა...

— მთელი ჩვენი იმედი თვითმფრინავია. — ამთავრებდა რადიოგრამას ქვეითი ნაწილის მეთაური.

მფრინავს გასაფრენად რა დიდი მზადება უნდა? დღის მიწურულში უფროსი ლეიტენანტი ივანე მირონენკო უკვე დასტრიალებდა წვეტიანი მთის თოვლით შემოსილ თავს. იგი სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე ავიდა, მთის გადავლა კი ვერ შეძლო. მეორე ცდასაც შედეგი არ მოჰყოლია. ხშირი ღრუბლები აესვეტნენ გზაზე, ხუთ კილომეტრამდე სიმაღლეს აღწევდნენ. თან დამავალი ნაკადები თვითმფრინავს მთებისაკენ ეწეოდნენ. მესამე შემოვლაზე მირონენკომ მაინც მონახა ღრუბლებში ვიწრო ფანჯარა. მცელავი ფრენით შევიდა ხეობაში, ძირს დაეშვა.

რამდენიმე დღეს პრიმოვი და მირონენკო მეგზურობას ეწეოდნენ — დანარჩენ მფრინავებს უჩვენებდნენ თავიანთ აღმოჩენილ „აეროდრომებს". შემდეგ ყველა გაეჩვია. შტაბის უფროსმა [illegible] რილი ყინულის ზვინები. ზოგჯერ გეჩვენება, საკმარისია გადაიღუნო კაბინიდან და ხელი გაიშვირო, რომ პეშვით თოვლი აიღო.

სწრაფი შემოხვევით თვითმფრინავი ხეობაში შედის და საუკუნოვან მუხის ტყეში გაჭრილი ვიწრო განაკაფით მიდის ძირს დასაშვებად. სადღაც გვერდით ნაღმსატყორცნის სროლის ხმა ისმის.

### გერმანელის ადგილი უფსკრულშია

სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული თითქმის 3.000 მეტრ სიმაღლეზე. იგი არ წყდებოდა არც დღისით, არც ღამით, ცხრა დღეღამეს ზედიზედ. ზორბა ბავარიელებს ფორთოხლის პლანტაციები ელანდებოდათ, მათ კი უფსკრულში გადაჩეხა შესთავაზეს. ეს ერთგვარად მოხერხებულიც არის — არ უნდა საფლავების თხრა და ჯვრების გაკეთება.

არ შევუდგებით იმის დაწვრილებით აღწერას, თუ რა იყო და როგორ, მაგრამ მოვიდა ბრძანება გაგვერეკა ჰიტლერელები 13-16 ნიშნიანი თხემიდან.

ადგილი შეუხედავი, ძალიან გულმიუვალია. ასვეტილი, ციცაბო მთაა, მთლად თოვლით დაფარული. მარცხნიდან მყინვარი აკრავს. საშინელი ადგილია, მაგრამ ფასდაუდებელი. აქ რომ ამოვიდნენ, გერმანელებმა გადაკეტეს ერთადერთი ბილიკი უღელტეხილისაკენ, როგორც ხელისგულზე, ისე ხედავდნენ ყველა ჩვენს მოქმედებას, განუწყვეტლივ გვემუქრებოდნენ ფლანგიდან დარტყმით.

მაშასადამე, ჰიტლერელები უნდა გავრეკოთ. მთლად მშვიდობიანად, სრულიად დაუბრკოლებლად რომ იარო, იმ შემთხვევაშიც კი ორდღენახევარია საჭირო მწვერვალზე ასასვლელად. მოძრაობა შეიძლება მხოლოდ წინმიმავალის ნაკვალევზე. ან მარჯვნივ ან მარცხნივ ოდნავ რომ გადაგიცდეს ფეხი, უფსკრულში გადაიჩეხები.

თანაც ფრიცს ყოველ 25-30 მეტრზე მეავტომატეები ჩაუყენებია, ყოველ 100-150 მეტრზე — წინააღმდეგობის კვანძი მოუწყვია, დაზგიანი ტყვიამფრქვევით, კიბურად — ერთიმეორის ზემოთ. წინააღმდეგობის კვანძები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან რაციით.

სულ ერთია — გერმანელის ადგილი ხრამში, უფსკრულშია, ოღონდ ეს მარჯვედ უნდა გაკეთდეს. სამი რაზმი, თვითეული ერთნახევარი ან ორი ოცეულის შემადგენლობით, დაზგიანი ტყვიამფრქვევით აღჭურვილი, მარჯვნიდან, ცენტრიდან, მარცხნიდან შემოვლით, პირდაპირი იერიშით მიდიოდა. თხუთმეტი თოთმსვლელი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიიწევდა, რომ გზა გადაეჭრათ ჰიტლერელებისათვის, აღარ გაეშვათ ისინი.

ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ მებრძოლები. წინანი კლდეში პალოებს არჭობდნენ; ლითონის წრიაპებით იკიდებდნენ ფეხს, დანარჩენნი თოკებს მოეჭიდებოდნენ ადიოდნენ. მდუმარედ, დაკვირვებულად, გახელებულნი. ბოლოს მოწინააღმდეგემდე სულ ასი მეტრიღა დარჩა. ამოქმედდა მთებში მახლობლო ბრძოლის ორი მთავარი იარაღი — ხელყუმბარები და ქვები. გამალებით მიგორავს ზემოდან ნატყორცნი ქვა, თან გაიყოლებს მეორეს, მესამეს, და ერთ-ორ წამში საშინელი ხრიალით, წარმოუდგენელი სისწრაფით ეშვება და უფსკრულს იტაცებს ზვავი.

წინ გაიჭრა წითელარმიელი პუზანოვი. ხელჩართულ ბრძოლაში ორი ჰიტლერელი მოკლა. ერთი მაზარა გა- [illegible] უქნევდა ფრიცს, მოდით, მეგობრებო, მოგვეშველეთო. მოვიდა ორი გერმანელი — ორივე მოკლა პუზანოვმა. კიდევ ეძახის, მოუახლოვდა ორი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი, მათაც გაუსწორდა.

კურსანტი ნეჩიპორენკო ზევიდან დაახტა გერმანელთა ტყვიამფრქვევს, ხიშტით მოკლა ორი ეგერი, მანქანა კი სასარგებლო საქმისათვის — ჰიტლერელთა საულეტად გამოიყენა.

ქართველ წამალაიძეს მოუხდა მარტო ემოქმედნა თორმეტი ბავარიელი ეგერის წინააღმდეგ. წამალაიძე მათ გრანატებით აფეთქებდა... მეოთხედ რომ დაიჭრა, ქართველი თოვლზე დაეცა და ხარბად ისუნთქავდა ჰაერს. მოირბინა ფრიცმა, გულზე ავტომატი დააჭირა, ხელით უჩვენებს ბილიკზე, იქ წითელი „ზოლდატები" არიანო? სამხრეთელმა ხელით ანიშნა, დაიხარე და გეტყვიო. დაიხარა ეგერი. წამალაიძე ყელში სწვდა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, უფსკრულში გადავარდა და მტერიც თან გადაიყოლა.

ნაშუადღევს ის გერმანელები, რომლებიც ცოცხალი გადარჩნენ, ქვემოთ უღელტეხილისაკენ მიმავალ ბილიკზე დაეშვნენ. მათ დიდი ხანია ელოდა ლეიტენანტ. ჩიჩურინის 15 მთამსვლელი. ჰიტლერელები განწირულთა გააფთრებით იბრძოდნენ. მათ შეძლეს ხრამში გადაეჩეხათ სერჟანტი კაშირინი, წითელარმიელი პოპოვი, რამდენიმე სხვა მებრძოლი. მაგრამ ბრძოლის შედეგზე ამან ვერ იმოქმედა, ეგერები დაღუპვას ვერ გადაარჩინა. მყინვარის თხუთმეტმეტრიანი ღრანტე და იქვე მდებარე ხევი ჰიტლერელთა სამარე გახდა.

ბრძოლა რომ წააგეს, ჰიტლერელმა ალპელმა მსროლელებმა შორს დაიხიეს უკან. ფართოდ გადებული დატოვეს უღელტეხილის კარი. სადაც გუშინ მოწინააღმდეგის სამეთაურო პუნქტი იყო, ახლა შვრიას შეექცევიან სასაპალნე ჯორები. მათ ახალციხის რაიონის მშრომელთა საჩუქრები მიაქვთ ბატარიელ-ნაღმმტყორცნელებისათვის.

შევუერთდეთ ქარავანს.

### სწორედ ეს არის მეგობრობა

გუშაგმა მიწურში გამაცილა. სადილობა იყო. შჩისა და ქაშის მადის მომგვრელი სუნი იდგა — ყველაფერი ეს კონცენტრატებისაა. ჩემს შესახვედრად წამოდგა ახალგაზრდა ლეიტენანტი, თაფლისფერთვალებიანი და შოკოლადისფერსახიანი.

— შაფკატ ბეკბუდიევი, — ბატარიის მეთაური.

დანარჩენებიც წარმომიდგინა:

— მეთაურის თანაშემწე მაქსიმე სი- [illegible] ალექსანდრე ანდღულაძე.

— მზვერავები პოლოს პოლოსიანი და მამედ აზიმოვი.

...მათი გზები მაღლა ღრუბლებს ზემოთ, კავკასიის კართან შეიყარა. უზბეკი შაფკატ ბეკბუდიევი ბიოლოგიაზე კითხულობდა ლექციებს შუა აზიის უნივერსიტეტში (სამარყანდი), მაქსიმე სისენკო ქოჩორა ბიჭუნებს წერა-კითხვას ასწავლიდა უკრაინის სოფელ გნივანში — პოლტავის ოლქში. ალექსანდრე ანდღულაძე ქარხანას ხელმძღვანელობდა თბილისში. მამედ აზიმოვი ლაბორანტი იყო აზერბაიჯანის სოფელ აღდამის პურის ქარხანაში. კაზაკის შვილი ივანე გრაჩოვი კრასნოდარის სკოლის მეცხრე კლასში სწავლობდა. თათარი სამედ გაბდულხანოვი კოლმეურნეობის ცხენებს მწყემსავდა. ბელორუსი თევდორე შულგა ტორფის მოპოვებაზე მუშაობდა. უმუხი ალი კურმიშოვი უბადლო დალესტნურ ნაბდებს აკეთებდა.

სამშობლომ უბრძანა მათ მეომრები გამხდარიყვნენ. პარტიამ საგმირო საქმეებისათვის მოუწოდა. ისინი ბატარიელი-ნაღმმტყორცნელები გახდნენ.

...მთებში საბრძოლო მოქმედებისათვის სპეციალურად გაწვრთნილი დივიზიების „ედელვაისისა" და „ბავარიის ხაზის" რჩეული ეგერები მოხოხავდნენ ქედებზე. ერთ საღამოს მათ წინდაწინ მისცეს დღეღამის ულუფა და გამოუცხადეს: შემდგომი კვებისათვის თვითონ იზრუნეთ, ხვალ უღელტეხილი აიღეთ, დაეშვით ქართული მდინარის ჩხალთის ხეობაში, იქ მდიდარი სოფლებია და საკურორტო ქალაქიც ახლოა — შესანიშნავი ნადავლი გექნებათო.

— შეტევაზე გადმოსული მტრის წინააღმდეგ ყველა ნაღმსატყორცნის ცეცხლი! — გასცა განკარგულება შაფკატ ბეკბუდიევმა.

საიდანღაც ზემოდან მაშინვე გამოეხმაურნენ გერმანელთა 123-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნები. ჩვენს მეგობრებს სასაპალნე, კალიბრით ნაკლები ნაღმსატყორცნები ჰქონდათ. პოზიციებიც ნაკლებად ხელსაყრელი იყო — ქვემოდან ზევით უნდა ესროლათ. ორმოც წუთს დაუღალავად მოქმედებდნენ ბატარიელები. ორმოცდამეერთე წუთზე კი მზვერავმა ოვანესიანმა 50 მეტრი სიმაღლის მუხიდან ტელეფონით გადმოსცა:

— გერმანელების ძვლები აქეთ-იქით იფანტება.

ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მარჯვნიდან და მარცხნიდან ნაღმმტყორცნელებისაკენ სულ უფრო ახლოს მოიწევდნენ გერმანელი მეავტომატეები. დაიჭრა მეთაური, მკვდარი დაეცნენ ზაქარია ეგნატაშვილი, ივანე წაკუტკო, სმბატ ხაჩატუროვი. გაისმა ანდღულაძის განკარგულება:

— შულგას გათვლა სწრაფ სროლას განაგრძობს, ექვსი მებრძოლი უმცროს ლეიტენანტ გრაჩოვის მეთაურობით მარცხნიდან იფარავს, დანარჩენები მარჯვნიდან სპობენ მეავტომატეებს.

იმ მომენტისათვის მეავტომატენი ასამდე იყვნენ.

გერმანელთა გვამების გორას ამოფარებულმა ბატარიელებმა ჩვენი მსროლელების მისვლამდე გაძლეს. შემდეგ მოვიდა სამხედრო საბჭოს წერილი, ორდენები და მედლები გადასცა თერთმეტ ნაღმტყორცნელს. ალექსანდრე ანდღულაძეს წითელი დროშის ორდენი გადაეცა, თვრამეტი წლის გრაჩოვს — წითელი ვარსკვლავის ორდენი.

კარგი რუსული ანდაზაა: „ამხანაგს გაჭირვებაში იცნობენო". ყველაზე მძი- [illegible] მორტყმოდნენ ბატარიას, დაიჭრა უფროსი სერჟანტი იაშუნინი. იგი ღია მაღლობზე დაეცა და მის გარშემო ტყვიები მიწას თხრიდნენ. მეზნებარე კახელი ეკიზაშვილი სწორედ წინადღეს ძმად გაეფიცა იაშუნინს. როგორ შეიძლება დღეს ძმას დაღუპვა დაანებოს?

ეკიზაშვილმა ორი ნახტომით მიაღწია იმ ადგილას, სადაც სისხლისგან იცლებოდა იაშუნინი, და ზედ გადაეფარა. მეორე ფერდობზე უმუხმა კურმიშოვმა მხრებზე მოიკიდა დაჭრილი მზვერავი ახობაძე და უსასტიკესი სროლის მიუხედავად კლდის ნაპრალში შეაფარა.

აი ეს არის მეგობრობა!

...შაფკატ ბეკბუდიევმა ქარავნის მიერ მოტანილი ერთ-ერთი ამანათი გახსნა. კონიაკი, სურნელოვანი ვაშლი, ტკბილი ჩურჩხელები. ფსკერზე თვითნაკეთ კონვერტში წერილია. იწერება ორი ქალიშვილი — ორი მწველავი ქართული კოლმეურნეობიდან:

„მებრძოლო, გერმანელებს არ დაანებო ჩვენი თავი, ჩვენ სიცოცხლე გვინდა!".

შაფკატმა ფართოდ გადახსნა მწვანე მოსასხამ-კარვის კალთა, კარის მაგივრობას რომ ეწეოდა, და ძირგამოწნულნი თხილამურები გაიკეთა.

— ახლა მოვსინჯავთ გერმანელს: ნაღმი ყოველ მხეცს მოგუდავს ბუნაგში.

### კავკასიონის მთები

...ეს სამი ნარკვევი დაბეჭდილი იყო, ავტორი კი კვლავ წავიდა „კავკასიონის მთებში". უღელტეხილსა და მწვერვალებს სხვა სახელი ჰქონდა. პირობითი შიფრი იყო — „ყინულოვანი ბაზა". შტაბის საიდუმლო რუკებზე იმ ადგილას ჩარჭობილი იყო პატარა წითელი ალამი წარწერით „ტაშკენტი".

მეგობრებმა საიდუმლოდ მითხრეს: „იქ გოგის შეხვდები".

ი. დუბინსკი.

## ამაგდარნი

პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და მოსამსახურეებმა ამ დღეებში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ღვაწლმოსილ პენსიონერ პედაგოგებს, რომლებმაც ათეული წლების განმავლობაში თავდადებული შრომითა და უანგარო მოღვაწეობით მრავალათასიანი [illegible] სიყვარული დაიმსახურეს.

საზეიმოდ არის მორთული ინსტიტუტის კლუბი. სცენაზე, ცოცხალი ყვავილებით დამშვენებულ მაგიდასთან ზის 18 მხცოვანი პედაგოგი. [illegible] დამსახურებული მასწავლებლები — გ. კონიაშვილი, [illegible] ოვანესიანი, მ. თითბერიძე, ნ. ლორთქიფანიძე, დ. გელაძე, კ. შაიკინი, ა. ხეჩუმიანი და სხვ.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ნ. მიქაბერიძემ.

პენსიონერ პედაგოგთა მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკა ინსტიტუტის პროფკომის თავმჯდომარემ დოც. გ. იმედაძემ. ღვაწლმოსილ იუბილარებს მიესალმნენ პროფესორი ტრ. ხუნდაძე, სტუდენტები ალისა შერპილოვა და ნათელა მიქუტიშვილი.

შეხვედრის მონაწილეებმა დიდი ინტერესითა და ყურადღებით მოისმინეს დამსახურებული მასწავლებლის, ამჟამად პენსიონერის დოც. გ. კონიაშვილის სიტყვა.

აქვე წაიკითხეს განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილება პენსიონერი პედაგოგების საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

შეხვედრის მეორე განყოფილებაში გაიმართა კონცერტი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივის წევრთა მონაწილეობით.

გ. კაპარავა.

### ამრავლებენ ქვეყნის ბარაქას

დღითა და ღამით შავი ზღვის სანაპიროების გასწვრივ შენიშნავთ ცისფერ სეინერებს. ეს ფოთის მეთევზეობის კოლმეურნეობა „კოლხიდის" ფლოტილიაა, რომლის მებადურები დიდ შრომით წარმატებებს აღწევენ.

უხვი ნადავლით ბრუნდებიან ბრიგადები გაშლილი ზღვიდან. მათ უკვე დაიჭირეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 4.600 ცენტნერი თევზი, რითაც 9 თვის გეგმა გადაჭარბებით გაანაღდეს. დაჭერილი თევზის დიდი ნაწილი № 127 სეინერზე მოდის, რომელსაც თაკაცობენ კაპიტანი ა. ბებია და ბრიგადირი ე. მოტოვი. ამ დღეებში სეინერის ეკიპაჟმა გასული წლის მაჩვენებლებით კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება მოიპოვა და მას საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ვიმპელი.

შეუფერხებლად აწარმოებს ნედლი თევზის გადამუშავებას თევზკომბინატი, რომელმაც მიმდინარე წლის 6 თვის დავალება 9 თებერვლისათვის 153 პროცენტით შეასრულა. დანიშნულებისამებრ გაგზავნილია 1.064 ტონაზე მეტი თევზეულის მზა ნაწარმი.

ახლა კოლხიდელ მებადურთა გადაწყვეტილებაა წლიური გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის შეასრულონ. თევზკომბინატელები კი პირობას დებენ, რომ 17 მარტისათვის 9 თვის გეგმას გაანაღდებენ.

კ. კომახიძე.

### კინოთეატრი „შაორი"

ტყიბული. (საქ. კორ.). „შაორი" — ასე ეწოდება ახალ, ფართოეკრანიან კინოთეატრს, რომელმაც დაამშვენა მეშახტეთა ქალაქის ცენტრალური უბანი. მაყურებელთა დარბაზი 600 კაცს იტევს. კეთილმოწყობილ მოსაცდელ დარბაზში ტელეეკრანზე უჩვენებენ მოკლემეტრაჟიან დოკუმენტალურ ფილმებს.

შენობის ფასადი მოპირკეთებულია ეკლარის თეთრი ქვით.

### კომპოზიტორი აივაზიანი ახალი ორკესტრის ხელმძღვანელია

ერევანი, 18 თებერვალი. (საქდესის კორ.). სომხეთის სახელმწიფო ფილარმონიასთან შეიქმნა ახალი საორკესტრო ანსამბლი. მისი სამხატვრო ხელმძღვანელი იქნება რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი არტემ აივაზიანი — ორგანიზატორი სომხეთის პირველი საესტრადო ორკესტრისა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში. ახალი მუსიკალური კოლექტივი პროპაგანდას გაუწევს სომეხ, რუს და საზღვარგარეთელ ავტორთა ნაწარმოებებს.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

**თეატრები**

21 თებერვალი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** — ოტელო (1-ლი აბონ. მე-8 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — მესამე სურვილი (მე-16 აბონ. მე-2 სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე (მე-2 აბონ. მე-2 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ორნი საქანელაზე (მე-6 აბონ. მე-5 სპექტაკლი), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — შესანიშნავი სამეული, **სანკულტურის** — სიყვარულის მსხვერპლი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტურანდოტი (აბონ. № 12, 6 ს.), **თოჯინების ქართული** — დაიყივლე, მამალო (11 ს.), ქალპეპელა (2 ს.).

**ტელევიზია**

21 თებერვალი

12.00 — მხატვრული ფილმი „ცოდვილი", 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 18.25 — მოსწავლეთათვის — კინოვიქტორინა, 18.55 — გადაცემა — „დიდ ქიმიას — ფართო გზა!", 19.20 — კინონარკვევი, 19.40 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — სატელევიზიო ჟურნალი „მუსიკალური ცხოვრება", 20.50 — კინონარკვევი, 21.00 — ახალი ამბები, 21.15 — მხატვრული ფილმი „ადამიანი დაიბადა".

**კინო**

21 თებერვალი

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — დუმან მხოლოდ ქანდაკებები, **ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ნაკადული** — ალექსანდრე პარხომენკო, **სპარტაკი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, გაზაფხული** — მარშრუტი 99, **თბილისი** — მაგდანას ლურჯა, **კომკავშირელი, კოსმოსი** — ცარიელი რეისი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — მამაცი ადამიანები, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — პატარა მეოცნებენი, **ოფიცერთა სახლი** — ეს მხოლოდ ხუმრობა იყო, **კოლმეურნე** — ნარინჯის ველი, **დიდუბე** — ორი დედის შვილი, **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი), **თანამგზავრი** — ალექსანდრე ნეველი.

**რადიო**

22 თებერვალი

**პირველი პროგრამით**

06.40 — ქართული ხალხური მხედრული და ლაშქრული სიმღერები, 08.30 — მოლდავური მელოდიები, 09.10 — თვითმოქმედი ანსამბლების კონცერტი, 11.15 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის, 12.15 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 12.25 — ა. შავერზაშვილის საფორტეპიანო კვინტეტი და რომანსები, 13.40 — ბარხუდარიანი. პირველი საბალეტო სიუტა „ნარინე", 17.15 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონცერტი, 18.45 — შ. მშველიძე. ორი უვერტიურა, 19.30 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 45-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა, 22.00 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.30 — „მლერის მარიონ ანდერსონი".

**მეორე პროგრამით**

20.30 — გადაცემა — „ყურადღება, მუშაობენ ღრუბლები!", 20.45 — კამერული მუსიკა, 21.00 — ლიტერატურული გადაცემა — „იულიუს ფუჩიკი", 21.30 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

**• ნარკვევი • ცნობები • სპორტული ქრონიკა**

### ხუთი წლის მუსიკოსი

გარმონი უფროს ძმას ვიაჩესლავს უყიდეს, მაგრამ ყველას გაუკვირდა, როდესაც დაკვრა უფრო ადრე მისმა ორი წლის ძმამ საშამ ისწავლა. მალე მისი არაჩვეულებრივი ნიჭით დაინტერესდნენ სპეციალისტები.

საშას მამას, ქარხანა „კრასნოე სორმოვოს" დისპეტჩერს ნიკოლოზ ბარდოვს-ურჩიეს შვილისთვის შეეძინა უფრო რთული ინსტრუმენტი — ნახევარბაიანი. პატარამ ისიც მალე აითვისა.

გასულ წელს საშამ შეაღო მუსიკალური სასწავლებლის კარი. მართალია, იგი ჯერ „თავისუფალი მსმენელია". პატარა მუსიკოსს სულ ახლახან შეუსრულდა ხუთი წელი.

შარშან საშას დაკვრას უსმენდა გამოჩენილი საბჭოთა ვირტუოზი — ბაიანისტი, მეხუთე მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი იური კაზაკოვი. მან აღფრთოვანებულმა თქვა: ასეთი რამ ცხოვრებაში არ მომისმენია და არ მინახავს. ვუსურვებ, როცა იგი გაიზრდება, მთელი მსოფლიო გაეკვირვებინოს".

„ახალი ამბები".

**კომუნისტი სპორტი**

### თოვლიან ბილიკებზე

გუშინ ბაკურიანში გრძელდებოდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. პროგრამაში იყო სპეციალური სლალომი ვაჟთათვის.

შეჯიბრება ხასიათდებოდა მძაფრი ბრძოლით. წარმატებით გამოვიდა საქართველოს წარმომადგენელი ი. ჯანგობეკოვი, რომელმაც პირველი ადგილი და „დინამოს" ჩემპიონობა მოიპოვა.

### ტორპედოელთა გამგზავრება

გუშინ კვიპროსში გაემგზავრა მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში არიან კავაზაშვილი, მედაკინი, ივანოვი, ბატანოვი, გუსაროვი, პოსუელო და სხვ. კვიპროსზე ტორპედოელები გამართავენ ხუთ საერთაშორისო მატჩს.

გუნდის უფროსი მწვრთნელია გ. კაჩალინი.

### სამასი საერთაშორისო მატჩი

დიდი საფეხბურთო სეზონი კარზე მოგვადგა, მალე „ა" და „ბ" კლასის კოლექტივები ასპარეზობაში ჩაებმებიან, დაიწყება ჩვენი ქვეყნის XXV საიუბილეო ჩემპიონატი, სსრ კავშირის თასის გათამაშება, საერთაშორისო შეხვედრები. პირველობისა და თასის გათამაშების დებულება, აგრეთვე შეხვედრათა კალენდარი ცნობილია.

როგორია ახალი საფეხბურთო სეზონის საერთაშორისო შეხვედრათა გეგმა?

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას სსრ კავშირისა და ოლიმპიურ, იუნიორთა და ახალგაზრდულ, აგრეთვე „ა" და „ბ" კლასის გუნდებისათვის დაგეგმილი აქვს სამასამდე ოფიციალური და საერთაშორისო ამხანაგური მატჩი.

მარტში ცნობილი გახდება თუ ვინ იქნება პირველი ნაკრების მოწინააღმდეგე ევროპის თასზე. 25 მაისს სსრ კავშირის ნაკრებს მოსკოვში საერთაშორისო შეხვედრა ექნება შვეციის გუნდთან, 22 სექტემბერს — უნგრელ ფეხბურთელებთან, ხოლო 13 ოქტომბერს — ბულგარეთის გუნდთან, რის შემდეგ (ნოემბერში) საერთაშორისო მატჩების გასამართავად მაროკოში გაემგზავრება. გზად გავლისას მათ შეხვედრა ექნებათ იტალიის ეროვნულ გუნდთან.

ჩვენი ოლიმპიური ნაკრები, გარდა ოფიციალური შეხვედრისა ფინეთის გუნდთან, საერთაშორისო მატჩებს მოაწყობს ბუდაპეშტში უნგრელ ფეხბურთელებთან, კიევსა და ლენინგრადში — შვეციის გუნდთან.

ახალი საფეხბურთო სეზონი საინტერესო იქნება ჩვენი ქვეყნის იუნიორთა ნაკრები გუნდისათვისაც. ისინი კვლავ მიიღებენ მონაწილეობას უეფას ტრადიციულ ტურნირში. წინასწარ შეხვედრებს საბჭოთა იუნიორები ჩაატარებენ 24 მარტს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან ბაქოში, ხოლო 30 მარტს — ჩეხოსლოვაკიაში. წარმატების შემთხვევაში ჩვენი გუნდი გაემგზავრება ინგლისში, დასკვნითს შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

არაერთ საერთაშორისო შეჯიბრებას გამართავენ ჩვენი საკლუბო გუნდები, როგორც ჩვენთან ისე საზღვარგარეთ, აგრეთვე ახალგაზრდული ნაკრები. სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები შეხვდება უნგრეთისა და პოლონეთის ფეხბურთელებს.

### რამდენიმე სტრიქონით

◆ მსოფლიო ჩემპიონატის წინ ევროპაში ტურნეს მართავს კანადის გუნდი „ტრეილ სმოუკ იტერსი". ამ დღეებში კანადელები ჩეხოსლოვაკიას ეწვივნენ და პირველი მატჩი ჰქონდათ ბრატისლავაში ადგილობრივ საკლუბო გუნდ „სლოვანთან". შეჯიბრება აღინიშნა კანადელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

◆ გრძელდება „ა" კლასის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ზამთრის საკავშირო ტურნირის დასკვნითი ასპარეზობა 13 კოლექტივის მონაწილეობით. მორიგ მატჩში ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" დაამარცხა ადგილობრივი „სპარტაკი" 68:63. დღეისათვის ლიდერია კიევის „სტროიტელი", რომელსაც 6 თამაშიდან 6 ქულა აქვს. თბილისის „პოლიტექნიკს" — 7 თამაშიდან 2 ქულა. დინამოელები ბრძოლაში 25 თებერვლიდან ჩაებმებიან.

## გაზაფხული ზოოპარკში

ალბათ გაზაფხული ისე შემოიპარება, რომ თბილისელები ნამდვილ ზამთარს ვერ ნახავენ. მართლაც უჩვეულოდ თბილი ზამთარია. ამიტომ არის, რომ პარკებსა და ბაღებში ბევრი ხალხია. გაზაფხულს კი მომზადება უნდა. ყველაფერი მზად უნდა იყოს იმ დროისათვის, როცა ბავშვების ჟრიამულით და მოსეირნე წყვილებით აივსება არემარე.

ყოველთვის, ზამთარ-ზაფხულ, ბევრი ხალხია თბილისის ზოოპარკში. უყვართ თბილისელებს მისი ლამაზი ხეივნები, ტყეების, ველების, მდინარეებისა და ზღვების ბინადართა ნახვა. თითქმის ყოველთვის შეიძლება აქ ნახოთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ფაუნის ახალი წარმომადგენლები; გაზაფხული კარზეა მომდგარი, და თბილისის ზოოპარკი ემზადება სეზონისათვის.



რა არის ახალი ზოოპარკში? როგორ მიმდინარეობს გაზაფხულისათვის მზადება? ამ შეკითხვებით მივმართეთ ჩვენმა კორესპონდენტმა თბილისის ზოოპარკის დირექტორს გ. გოგსაძეს.

აი რა თქვა მან:

— თბილისის ზოოპარკი ერთ-ერთი მოწინავეა საბჭოთა კავშირში. ჩვენ გვყავს მეტად ძვირფასი ცხოველები, რომლებიც კარგად არიან აკლიმატიზებული. თბილი ზამთრის მიუხედავად, თბილი ქვეყნების ცხოველები მაინც გადავიყვანეთ საზამთრო ბინებში. მათ კარგი პირობები შევუქმენით. კარგად გრძნობენ თავს ცირკში საგასტროლოდ ჩამოყვანილი პინგვინები, რომლებიც ახლა ჩვენთან სტუმრად არიან. ყველას შეუძლია ნახოს ისინი. თბილისის ზოოპარკი ივსება არა მარტო ჩამოყვანილი ცხოველებით, არამედ იმ ნამატით, რომელიც აქვე ჩნდება. ბეჰემოთები ტყვეობაში იშვიათად მრავლდებიან, თბილისში კი უკვე მეოთხედ მოგვცეს ნამატი. ახლახან მივიღეთ ახალი ცხოველები, რომლებსაც პირველად ნახავენ თბილისელები. ესენი არიან ძუ და ხვადი პუმები და ტაპირი. პუმა ჩრდილოეთ ამერიკის ცხოველია. მასთან ტყეში შეყრა სახიფათოა, მაგრამ ადამიანთან შეჩვევა იცის. ტაპირი აფრიკის მკვიდრია, გარეულ ღორს ჰგავს. უწყინარია. მასთან გალიაში შესვლაც კი შეიძლება. მივიღეთ ზღვის ლომებიც. უახლოეს ხანში ველით ახალ იშვიათ ცხოველებს.

კეთილმოწყობის თვალსაზრისით ჩვენი ტერიტორიის მდგომარეობა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს დამთვალიერებელთა შორის. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში გადაწყვეტილია ზოოპარკის გადატანა ლისის ტბის მიდამოებში. ამიტომ რემონტისა და კეთილმოწყობისათვის სათანადო თანხას არ გვაძლევდნენ. ჩვენს ზოოპარკს სსრ კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო ზოოლოგიური მუზეუმი აქვს. მაგრამ იმის გამო, რომ შენობა საკმარისი არ არის, ძვირფასი მასალა გამოუყენებელია. ახლად ჩამოყვანილი ცხოველებისათვის საჭიროა საზაფხულო და საზამთრო სადგომები.

გაზაფხულის სეზონი კარზეა მომდგარი, მიმდინარეობს უკანასკნელი მოსამზადებელი სამუშაოები. ზოოპარკი მზად არის დამთვალიერებელთა კულტურული მომსახურებისათვის.



სურათებზე: (მარცხნივ) ტაპირი; (მარჯვნივ) ბავშვები ათვალიერებენ პინგვინებს. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.


კომუნისტი
Комунисти
ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფ ლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერი ლების — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 05852

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.